№ 138
1877—1905
№ 138
სამშაბათი, 9 აგვისტო
სამშაბათი, 9 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დაუბეჭდავი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

„ტფილისის სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო
ამით აცხადებს, რომ განმეორებითი და მისაღები გამოცდა დაიწყება 26 მარიამობის თვიდან. თავისუფალი ადგილები გიმნაზიის მხოლოდ პირველ განყოფილებაში არის. სწავლა დაიწყება 5 ეკენისთვიდან.
(3—3)

ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციას აზრად აქვს სეზონის დაწყებამდე გამართოს

გამოსაცდელი წარმოდგენა

რათა გააფართოვოს სცენის მოყვარულთა წრე, ამიტომ სთხოვს იმ პირთ, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობის მიღებისა, მობრძანდნენ ავჭალის აუდიტორიაში, ხუთშაბათს, 11 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე.
(2—1).

ახალი წიგნი —
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება“.
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა“, ვ. ბექანეიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია“.
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ე. ს. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ზ. ა. თარხანოვი—1—1$\frac{1}{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1$\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
საღამოობით:
ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოოზის (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

სახალხო სკოლა და მასწავლებელი.

ამ ბოლო დროს ბევრი რამ ითქვა და დაიწერა საზოგადოდ რუსეთის სკოლის უვარგისობისა, ჩამორჩენისა და ცხოვრებასთან შეუსაბამობის შესახებ; ბევრი რამ ითქვა კერძოდ ჩვენს სახალხო სკოლაზე და მის მასწავლებლებზე, მარა თითქმის არაფერი თქმულა იმ დაწესებულების შესახებ, რომელიც ჩვენს სახალხო მასწავლებელს ამზადებს. შეიძლება, ეს მოხდა ცნობილ „მიზეზთა“ გამო, მარა დღეს კი მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა დავდუმებულიყავით ამ საგნის შესახებ, ვინაიდან სახალხო სკოლა, სახალხო განათლება, სახალხო მასწავლებელი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ხალხის კულტურულ წინმსვლელობაში.

სკოლის ხალხურ ნიადაგზე დაყენება, სასურველად მომზადებული სახალხო მასწავლებელი, რომელსაც, გამსჭვალულს თავის მაღალ მიზნით, შეეძლოს ხალხის ნამდვილ მისწრაფებათა შეგნება, მისი გვერდით ამოდგომა და იმავე სკოლის საშუალებით ხალხის ინტერესების სამსახური,—მომავლის საქმეა და შეიძლება ეს მომავალი არც ისე შორს იყოს; მარა დღეს კი, სანამ დღევანდელი წყობილება არსებობს,— მიუწვდომელი რამაა! ვინ უნდა იზრუნოს სახალხო სკოლისა და მისი მასწავლებლის შესახებ, რომ ისინი მართლა ასრულებდენ თავის მაღალ დანიშნულებას, თუ არ იმავე ხალხმა? ბიუროკრატიას ხალხის საკეთილდღეოდ ზრუნვისათვის არა სცხელა, მას დღეს თავის თავიც საბოგინოდ გახდომია. მაშასადამე, თუ გვსურს ეს ჯერ მიუწვდომელი მისაწვდომად გავხადოთ, თუ გვსურს ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედება, უნდა ვცდილობდეთ ხალხის გათვითცნობიერებას, ბიუროკრატიულ წყობილების შეცვლას და უკეთესის დამყარებას.

პირველ-დაწყებითი სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენში, როგორც ვიცით, ორ უწყებას აბარია. ესენი თავის მოღვაწეობაში ერთი მეორისაგან დიდად არ განირჩევიან, თუმცა ერთ მათგანს მომავლინებელთაგან დავალებული აქვს განსაკუთრებით ზნეობრივ სარწმუნოებრივი „აღზრდა“ ხალხისა. თუ როგორია ხალხისთვის ძალად შთანერგილ ზნეობის მიჩეჩება, ან რა შედეგი აქვს ზნეობის მქადაგებლისგან თვითონ ზნეობის უარყოფას, ამას ყველა და თვით ხალხიც კარგად ხედავს. ამიტომ გათვითცნობიერებულ ხალხის უმრავლესობამ უარჰყო ამ ტიპის სკოლები და მით აუკრძალა მის სულის ჩამდგმელთ თავის გულში ხელის ფათური; ისინი, როგორც მოზარდი თაობის ნორჩ და სპეტაკ სულსა და გულზე სიბნელის ღალის დამსმელნი...

რადგან ამ ორი უწყების სკოლები ერთმანეთისაგან დიდად არ განირჩევიან, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ხალხი უარჰყოფდა მეორე ტიპის სკოლებსაც. ეს ასეც მოხდა. ხალხმა ზურგი შეაქცია ორივე ტიპის სახალხო სკოლას, როგორც მოზარდი თაობის გონების დამჩლუნგებელს და ნიჭის დამხშველს. ხალხი დარჩა უსკოლოდ, ხალხს მოაკლდა არსებითი პური, ურომლისოდ მას გაძლება არ შეუძლიან. ხალხი თხოულობს ახალ სკოლას, რომელსაც შეეძლოს დაკმაყოფილება მისი არსებითი ინტერესებისა.

ვინ უნდა მისცეს მას ეს ახალი სკოლა? ბიროკრატიამ? შესწევს მას ამისთვის ძალ-ღონე? ბიროკრატიულ სკოლის ნაყოფი ხომ უკვე ვიცით, უკვე მომკილია? ბიუროკრატია ხომ თვითნება მეჯურჭლეა, რომელიც ჭურჭელს თავის საკუთარ გემოვნებაზე აბამს ყურს და იმას არ დაგიდევს, თუ ასეთი ჭურჭელი რამდენად გამოადგება მომხმარებელს. მან ხომ სახალხო განათლების სახელით უარჰყო სახალხო განათლება და ამ უკანასკნელის სიმებიც თავის ჭკუაზე მომართა, თავის გემოვნებაზე ააჟღერა!.. მან ხომ სკოლა გადააქცია ხალხის დამონებულ და გონებრივ-ზნეობრივ დამჩლუნგებელ ქარხანად და თავის აულაგმველ თვითნებობის ასპარეზად!.. ასეთმა სკოლამ ურიცხვი ახალგაზდა დააჩლუნგა გონებრივად, დააკნინა და დაამახინჯა სულიერად, დაასნეულა ფიზიკურად. ჩვენ ვიცით, რომ ახალგაზდობის ერთმა ნაწილმა ვერ აიტანა არსებული სკოლის სისასტიკე და სიმკაცრე, უარჰყო იგი, ზიზღით ზურგი შეაქცია მას და დამოუკიდებლად თვითგანვითარების გზას დაადგა.

აი, ასეთია ბიუროკრატიულ სკოლის ნაყოფი, ასეთია მისი მოღვაწეობა ხალხის საკეთილდღეოდ!.. მაშ, ვინ უნდა შექმნას სკოლა და კერძოდ სახალხო?—ხალხმა და მხოლოდ ხალხმა! მაგრამ სახალხო სკოლას მასწავლებელიც სახალხო უნდა! სახალხო სკოლაში რომ ბიუროკრატი მასწავლებელი ჩავაყენოთ, რასაკვირველია, სკოლაც მის ჭკუაზე დაიწყებს მოღვაწეობას და გამეორდება ძველი ისტორია.

დღევანდელ სახალხო სკოლის მასწავლებელთა შესახებ ხშირი საყვედური გვესმის კერძოდ და პრესაშიაც. და—არც უსამართლოდ... მაგრამ ვინ არის აქ დამნაშავე? რასაკვირველია, იგივე ბიუროკრატიული სკოლა, რომელმაც ეს მასწავლებელი შექმნა. მგონი არსად, არც ერთ დაწესებულებაში ბიუროკრატიულ თვითნებობას, აულაგმველობას და აღვირ-ახსნილობას ისეთის სავსებით და სიმკაცრით არ უჩენია თავი, როგორც სახალხო მასწავლებელთა მომმზადებელ სასწავლებლებში. მიზეზი ცხადია: მაშ ის რაღა ბიუროკრატია იქნებოდა, რომელიც ხალხს ჯეროვანად მომზადებულ, მისთვის საკეთილდღეოდ მომქმედ და თავისუფალ მისწრაფებათა მქონე მასწავლებელს მისცემდა!.. ეს ხომ თავისივე ხელით სამარის გათხრა იქნებოდა, ეს ხომ თავის დასაკლავ დანის გალესვას დაემსგავსებოდა!.. არა, ამ შემთხვევაში ბიუროკრატიას ულოღიკობას ვერავინ უკიჟინებს და ეს მისი ლოღიკა სამასწავლებლო სემინარიებში იმდენად განვითარდა, რომ იმათ ყველა თავის მსგავს დაწესებულებებს გაასწრეს მოსწავლეთა დამონება-დაბეჩავებაში!.. ამ შემთხვევაში იმათ საოცარი ერთგულება გამოიჩინეს თავისთა მომავლინებელთადმი!.. ყაზარმა რაა მათთან შედარებით!.. იქ მაინც იცით, რომ ყაზარმაში ხართ, და რას იზამთ,—ძალა-უნებურად ემორჩილებით მის სასტიკ წესებს; აქ კი ადამიანი, რაც უნდა იყოს, მაინც სასწავლებელში გრძნობს თავს და მის სასოწარკვეთილებას საზღვარი აღარა აქვს, როცა აქაც იმავე ყაზარმულ წესებს და სიმკაცრეს ხედავს... უფროსების წინ ნამდვილ სალდათურად გამოჭიმვა, წამდაუწუმ „ვაშე პრევოსხოდიტელსტვოს“ და „სლუშაიუს“ ძახილი, პოლიციური პროტოკოლ-რაპორტები, სასტიკი დევნა ყოველივე მშობლიურისა და მისივე აუტანელი და შეურაცხმყოფელი დაცინვა რუს პატრიოტ-პედაგოგთაგან და სხვა ათასი ამგვარები,—აი, ატმოსფერა, რომლითაც გაჟღენთილია ამ „ზავედენიების“ ყოველი კუთხე-კუნჭული! აი, ის მომხმული ჰაერი, რომელიც წამლავს მომავალ სახალხო მასწავლებელთა სულსა და გულს!.. დაუმატეთ ამას ყოველდღიური სამოთხ-კეკი ლოცვათი ლიტანიები, ყოვლად უვარგისი სისტემა სწავლებისა, რომელიც ყოველ სასწავლო საგანს რაღაც მშრალ, უსულგულო ძალად ხდის და რომლის ყოველი ნაბიჯი მიმართულია შეგირდთა სულისა და გულის დამონებისაკენ, ამასთანავე საოცრათ მიუკარებელი და კარ-ჩაკეტილი ცხოვრება—და თქვენ მიიღებთ მკრთალ სურათს სემინარიის წყობილებისას.

აი, ასეთ პირობებში იზრდება ჩვენი სახალხო მასწავლებელი! აი, რა სულთ-შემხუთავი ჰაერით იშხამება მომავალი აღმზრდელი ჩვენის ხალხის შვილებისა!.. 17—18 წლის სემინარიელი უფრო ფერ-დაკარგულ, გაყვითლებულ და ჯანშესუსტებულ არსებას წარმოადგენს, ვიდრე სიცოცხლე მოწყურებულ, ენერგიით სავსე ჭაბუკს. ამას შემდეგ რაღა გასაკვირალია, რომ სოფლის მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა ვერ ამართლებდეს თავის მაღალ დანიშნულებას... იშვიათი და ბედნიერი შემთხვევაა, თუ რომელიმე მათგანი გადაურჩა სემინარიის სასტიკ რეჟიმს და თითონ დამოუკიდებლად გაიკვლია გზა ცხოვრებაში!..

ჩვენ აქ არ ვესარჩლებით სოფლის მასწავლებელთ. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა მიგვეთითებია იმ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია სოფლის მასწავლებელთაგან თავის მაღალ დანიშნულების აუსრულებლობა. და თუ ცოტა ფართოთ შევხედავთ საქმეს—ამავე მიზეზების წყალობაა, რომ ჩვენის ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა მცონარე, სიცოცხლე მოკლებულ ელემენტს წარმოადგენს, რომელსაც არავითარი საზოგადოებრივი მოვლენა აღარ აინტერესებს და თავის ვიწრო ჩინოვნიკურ ფარგალში მომწყვდეულა...

დღეს კი, როდესაც მთელი რუსეთი და მასთან ერთად ჩვენი ქვეყანაც საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობის ფერხულშია ჩაბმული, სკოლის განახლება-განთავისუფლებაც აუცილებელია. სკოლის განახლების საჭიროებას, დიდი ხანია, გრძნობს საზოგადოება, მარა ბიუროკრატიას საზოგადოების გრძნობებისთვის არა სცხელოდა და საქმეც თავის ჭკუაზე მიჰყავდა, რაიცა დღეს მისთვის ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა... დღეს ცხოვრება ბიუროკრატიას უკარნახებს: გადადექი, გზა დამილოცე, წინ ნუ მეღობებიო!.. ცხოვრებამ კომპრომისები არ იცის და ამიტომ ამ პალიატივებით, რომელიც გამოიხატება ბიუროკრატიის-მიერ რაღაც „დათმობის“ პოლიტიკაში, თუ არა-მკითხე სახალხო სკოლის პროგრამის შედგენაში, — ცხოვრება და ხალხი სულ სხვას გაიძახის, ვიდრე ბიუროკრატიულ წრეებში ჰგონიათ: ხალხი თხოულობს თავისუფალ სკოლას და თავისუფალ მასწავლებელს...

დ. ჭოლეველი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

6 აგვისტო.

ს.-პეტერბურგი. ოფიციალური. წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ, რომ მტკიცე საფუძველი რუსეთის სახელმწიფოს აღორძინებისა იყო ერთობა მეფისა ხალხთან და ხალხისა—მეფესთან. თანხმობა და ურთიერთობა მეფესა და ხალხთ შორის არის ის დიადი ზნეობრივი ძალა, რომელიც საუკუნოების განმავლობაში იფარავდა რუსეთს განსაცდელისა და უბედურებისაგან და რომელიც დღემდე თავდებია მის ერთიანობისა, დამოუკიდებლობისა, ქონებრივ კეთილდღეობისა და მის სულიერ განვითარებისა აწმყოსა და მომავალში. ჯერ ისევ 1905 წლის 26 თებერვლის მანიფესტით მოვიწვიეთ ჩვენ ერთგულნი შვილნი სამშობლოისა მტკიცე ერთობის ჩამოსაგდებად, სახელმწიფო წესწყობილების გასაუმჯობესებლად და ადგილობრივ ცხოვრებაში მტკიცე თადარიგის დასამყარებლად. მაშინვე ჩვენ ზრუნვას შეადგენდა ის აზრი, რომ საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი შეგვეთანხმებინა მთავრობასთან და აღმოგვეფხვრა ის უთანხმოება, რომელსაც ასეთი გამათახსირებელი ზეგავლენა ჰქონდა სახელმწიფო ცხოვრების მსვლელობაზე. ასეთივე აზრი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს, თვითმპყრობელ მეფეთ.

ახლა კი დადგა ის დრო, როდესაც ჩვენ უნდა განვახორციელოთ კეთილ-განზრახულებანი ჩვენთა წინაპართა და მოვუწოდოთ სრულიად რუსეთის წარმომადგენელნი მუდმივ და ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის—სახელმწიფო კანონების შედგენაში. ამიტომ უმაღლესს სახელმწიფო დაწესებულებათა რიცხვს ჩვენ ვუმატებთ ერთ განსაკუთრებულ საკანონმდებლო დაწესებულებასაც— სახელმწიფო საბჭოს (Дума), რომელსაც ევალება შემუშავება საკანონმდებლო მოსაზრებათა და განხილვა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ანგარიშებისა. ვტოვებთ რა ხელ-უხლებლივ ძირითად კანონს რუსეთის იმპერიისას—თვითმპყრობელ მთავრობის არსებობის შესახებ, საკეთილოდ დავინახეთ, დავაარსოთ სახელმწიფო საბჭო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ხალხის მიერ არჩეულნი და რომლის, ჩვენ მიერ უკვე დამტკიცებული დებულებაც, საერთოა მთელის რუსეთისათვის, გარდა იმ ცვლილებათა, რომელიც შეიძლება შეტანილ იქმნას ზოგიერთა, განსაკუთრებულ პირობებში მყოფ განაპირა ქვეყნებისათვის.

ის წესები, რომელიც შეეხება დიდს სამთავროს ფინლიანდიის სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობის მიღებას საიმპერიო საკითხთა და კერძოდ ამ ქვეყნის საკითხთა გადაწყვეტაში, ჩვენ მიერ კერძოდ იქმნება გამოცხადებული. ამასთან ერთად ჩვენ ვუბრძანეთ შინაგან საქმეთა მინისტრს დაუყოვნებლივ წარმოგვიდგინოს დასამტკიცებლად წესები სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობის მისაღებად არჩეულთა დებულების სისრულეში მოსაყვანად, იმ ანგარიშით, რომ 50 გუბერნიისა და დონის ოლქის წარმომადგენელნი სახელმწიფო საბჭოში გამოცხადდნენ არა უგვიანეს 1906 წ. იანვრის პირველ ნახევრისა. ჩვენ სავსებით ვტოვებთ უფლებას სახელმწიფო საბჭოს მოქმედების გაუმჯობესების შესახებ და როდესაც დრო, ან გარემოება მოითხოვს ამ გაუმჯობესებას, ან ქვეყნისა და დროის შესაფერ რაიმე სასიკეთო ცვლილებას—დაუყოვნებლივ და თავის დროზე გამოვაცხადებთ ჩვენს სურვილს ამ ცვლილებათა მოხდენის შესახებ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მთელის ხალხისა და მეფის ნდობით აღჭურვილნი არჩეულნი,—მოწვეულნი დიად საქმის აღსასრულებლად, იქმნებიან რა კეთილ-განწყობილნი სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებთან და მთავრობასთან—გაგვიწევენ სასარგებლო თანაშემწეობას საერთო დედის—რუსეთის სახელმწიფოს უზრუნველ საყოფლად, განსაერთიანებლად და ხალხში წესიერებისა და კეთილ-დღეობის დასამყარებლად.

მოვიწოდებთ რა კურთხევასა ღვთისასა ჩვენ მიერ ახლად დაარსებულ სახელმწიფო დაწესებულებაზე, ჩვენ მტკიცედ გვწამს მოწყალება ღვთისა და გარდუვალობა დიადთა თავბედითობათა ისტორიისათა, განმზადებულთა ჩვენის საყვარელის სამშობლოისათვის განგებითა ღვთისათა.

მტკიცედ ვსასოებთ, რომ შეწევნითა ღვთისასათა და ერთგულებითა შვილთა რუსეთისათა, სამშობლო ჩვენი ისეთივე ძლიერი, დიდებული და სახელოვანი დარჩება ბედისაგან მოვლინებულ მწარე განსაცდელთა შემდეგაც, როგორიც იგი იყო ათასის წლების განმავლობაში. ბრძანება ესე გამოცემულ არს პეტერგოფსა შინა, მეექვსესა დღესა აგვისტოსასა, წელსა შობიდგან ქრისტესისა ათასს ცხრაასს ხუთსა, ხოლო მეფობისა ჩვენისასა მეთერთმეტესა. დედანს მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით აწერია: **„ნიკოლოოზი“.**

ბრძანება უმართებულესის სენატის მიმართ. ამა რიცხვით გამოცემულ მანიფესტით ვაუწყებთ რა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ დაარსებას სახელმწიფო საბჭოისას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ხალხის წარმომადგენელნი, ჩვენ უკვე დავამტკიცეთ დებულებანი არჩევნების შესახებ. გიგზავნით რა ამ დაკანონებათ მთელის თავისის დამატებებით, ვუბრძანებთ უმართებულესს სენატს დაუყოვნებლივ გამოაცხადოს იგი. გარდა ამისა, ვინაიდან მოსაზრებანი და წინადადებანი სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესობის შესახებ ამიერიდან უნდა მომხსნდეს ხოლმე ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარ სახელმწიფო საბჭოისაგან, ვუბრძანებ უმართებულესს სენატს ბრძანება მისდამი 1905 წლის 18 თებერვალს გამოცემული, ახლავე გააუქმოს“. დედანს მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით აწერია: „ნიკოლოოზი“. პეტერგოფი, 6 აგვისტო 1905 წელი.

პეტერბურგი. სენატში წაკითხულ იქმნა მანიფესტი და ორი საკანონმდებლო აქტი: „სახელმწიფო საბჭოს დაარსება“ და „სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობის მისაღებად წევრთა არჩევნების დებულების შესახებ“. სახელმწიფო საბჭოს მოვალეობაა, შეიმუშაოს და განიხილოს წინასწარი მოსაზრებანი იმ კანონ-პროექტთა შესახებ, რომლებიც შემდეგ სახელმწიფო რჩევის მიერ ხელმწიფეს წარედგინება. საბჭო შესდგება ხალხის მიერ ხუთის წლით ამორჩეულ წევრებისაგან. მაგრამ უმაღლესის ბრძანებით, ეს წევრები შეიძლება დათხოვნილ იქმნენ ვადის გასვლამდეც. წევრთა დათხოვნისათანავე, იმავე ბრძანებით ინიშნება დრო ახალის არჩევნებისათვის. ყოველ წლიურ სესსიების ხანგრძლიობა დამოკიდებულია ხელმწიფის ნებაზე. საკითხებს სახელმწიფო საბჭო არკვევს როგორც საერთო, ისე თავისს განყოფილებათა კრებებზე. საბჭოს განყოფილებათა რიცხვი განისაზღვრება საბჭოს მიერ, მაგრამ ეს განყოფილებები რიცხვით არ უნდა იყოს ოთხზე ნაკლები და რვაზე მეტი. სახელმწიფო საბჭოს კრება კანონიერია, თუ კრებას დაესწრო წევრთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ ერთის მესამედისა. ხოლო განყოფილებებში კი —არა ნაკლებ წევრთა რიცხვის ნახევრისა. კრების დაწყებამდე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ უქვეშევრდომილესად უნდა მოახსენოს ხელმწიფეს კრების საგანი. განყოფილებათა თავმჯდომარენი არჩეულ უნდა იქმნენ წევრთა შორის ერთის წლით ვადით. ამ ვადის შემდეგ, შეუძლიანთ კვლავ ისინივე აირჩიონ. საბჭოს საერთო მოქმედების შესახებ აღძრულ საკითხების განსახილველად, საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით უნდა შესდგეს განსაკუთრებული რჩევა საბჭოს თავმჯდომარისა, მის ამხანაგისა, განყოფილებათა თავმჯდომარეთა, საბჭოს მდივნისა და მის ამხანაგისაგან. საბჭოს წევრთ შეუძლიანთ თავისუფლად გამოსთქვან თავიანთი აზრი საბჭოს საქმეთა შესახებ; იგინი პასუხის მგებელნი არ არიან თავისს ამომრჩეველთა წინაშე. საბჭოს წევრთა უფლების შეზღუდვა და ხმის წართმევა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება. საბჭოს წევრთ წევრობა ჩამოერთმევათ მხოლოდ მაშინ, თუ გამოიცვალა ქვეშევრდომობა, დაჰკარგა ცენზი, შევიდა სამხედრო სამსახურში ან ჯამაგირიანი სახელმწიფო თანამდებობა მიიღო. თუ სახელმწიფო საბჭოს წევრმა სამსახურში ბოროტმოქმედება ჩაიდინა, დაისჯება იმავე წესით, როგორითაც სახელმწიფო რჩევის დამნაშავე წევრი ისჯება. წევრი სამსახურიდან უნდა გადააყენოს სენატმა. მთელი სესსიის განმავლობაში, სახელმწიფო საბჭოს წევრს ჯილდოდ დღეში ერთი თუმანი ეძლევა. მასვე მიეცემა სამგზავრო ფული შინიდან პეტერბურგამდე—ვერსზე ერთი შაური. თუმცა მინისტრები და სხვადასხვა უწყებათა მთავარმმართველნი სახელმწიფო საბჭოს წევრებად არ ითვლებიან, მაგრამ ნება აქვთ დაესწრონ ხოლმე საბჭოს კრებებს და რჩევა-დარიგება აძლიონ, როდესაც ამას მოითხოვენ საბჭო ანუ მისი განყოფილებანი. სახელმწიფო საბჭო ირჩევს თავისს წევრთა შორის მდივანს და მის ამხანაგს ხუთის წლის ვადით. მდივანს ირჩევენ აგრეთვე განყოფილებანიც. საბჭოს მდივანი გამგეა სახელმწიფო საბჭოს კანცელარიისა.

თუ ვინიცობაა საბჭო დათხოვნილ იქმნა, ახალ საბჭოს წევრთა მოწვევამდე, მდივნის თანამდებობას ასრულებს სახელმწიფო მდივანი. საბჭოს ჰყავს თავისი ბოქაულები, რომლებიც ასრულებენ საბჭოს და მის განყოფილებათა თავმჯდომარეების მინდობილებათა. სახელმწიფო საბჭომ უნდა განიხილოს ხოლმე ახლად შემოსულები კანონები, ნება აქვს არსებულ კანონთა შეცვლისა, დამატებისა, აღსრულებაში არ მოყვანისა და გაუქმებისა. საბჭომ, აგრეთვე უნდა განიხილოს ხოლმე: მინისტრთა და მმართველობათა ფულის ანგარიშები, სახელმწიფოს შესავალ-გასავალი, ყველა ის ხარჯები, რომლებიც სახელმწიფო „როსპისის“ გარეშე მოხდარან, სახელმწიფო კონტროლის ანგარიშები, სახელმწიფო ქონებათა და სახელმწიფო ხარჯით რკინის გზის გაყვანის შესახები საკითხები და სხვა. მართალია, სახელმწიფო საბჭოს ნება აქვს წარმოადგინოს ახალი კანონები, შესცვალოს და გააუქმოს აწ არსებულნი, მაგრამ იმის ნება კი არა აქვს, რომ შეეხოს სახელმწიფო წესწყობილების ძირითად კანონებს. საბ-

ქოს ნება აქვს შეეკითხოს მინისტრებსა და მთავარ-გამგებლებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი კანონს არღვევენ. კანონ-პროექტებს საბჭოს წარუდგენენ ხოლმე: მინისტრები, მთავარ-გამგებლები და სახელმწიფო მდივანი. პირველად მათ განიხილავენ საბჭოს განყოფილებანი და შემდეგ მთელი კრება. თუ ვინიცობაა რომელიმე წევრმა კრებაზე წესიერება დაარღვია, საბჭოს, ანუ მის განყოფილებას, ნება აქვს განაძევოს იგი კრებიდან. საბჭოსვე შეუძლიან ამ წევრს რამდენიმე ხნით ხმა ჩამოართვას. სახელმწიფო საბჭოს და მის განყოფილებათა კრებებს გარეშენი ვერ დაესწრებიან, ე. ი. საჯარონი არ არიან, მაგრამ თავმჯდომარეს ნება აქვს კრებაზე შეუშვას პრესსის წარმომადგენელნი. საბჭოს თავმჯდომარისა ანუ მინისტრის მოხსენებისამებრ თუ კრებას განსახილველად ისეთი საკითხები აქვს წარდგენილი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს, კრებები აუცილებლად კარ-დახშული უნდა იყოს. საბჭოს კრებათა ანგარიშებს (კარ-დახშულების გარდა) ადგენენ ნაფიცი სტენოგრაფები და, თუ თავმჯდომარემ ნება დართო, შეიძლება გამოქვეყნებულ იქმნენ; კარ-დახშულ კრების ანგარიშებიდან კი შეიძლება გამოქვეყნდეს მარტო ის, რაც მოსახერხებელია. ის საქმეები, რომელთაც მინისტრები და მთავარ-მმართველები წარუდგენენ საბჭოს, შეიძლება უკანვე იქმნენ გამოტანილნი, ის საქმე კი, რომელსაც საბჭო აღძრავს, შეიძლება გაუქმებულ იქმნას მხოლოდ საბჭოსავე გარდაწყვეტილებით. საქმეს საბჭო ხმის უმრავლესობით განაგებს: ხმის უმრავლესობამ უნდა განაცხადოს, ეთანხმება თუ არ ეთანხმება რომელსამე კანონ-პროექტს, ან აღნიშნოს სასურველი ცვლილებანი. მერე ეს კანონ-პროექტი წარედგინება სახელმწიფო რჩევას (სოვეტს), რომელიც განიხილავს საბჭოს დადგენილებას და მერე თავის მხრით, ჩვეულებრივის წესით, წარუდგენს ხელმწიფეს კეთილ საყურადღებოდ. თუ ვინიცობაა კანონ-პროექტი უარყოფილია სახელმწიფო საბჭოსა და რჩევის წევრთა ორი მესამედის უმეტესობით, მაშინ იგი კანონ-პროექტი უბრუნდება მინისტრს ანუ მთავარ-მმართველს; ხოლო, თუ სახელმწიფო რჩევა არ დაეთანხმა სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებულ გარდაწყვეტილებას, მაშინ კანონ-პროექტი გარდაეცემა განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც უნდა შესდგეს სახელმწიფო რჩევისა და სახელმწიფო საბჭოს წევრთა თანასწორ რიცხვისაგან. თუ მაინც კიდევ ვერ შეთანხმდნენ, კანონ-პროექტი წარედგინება სახელმწიფო რჩევის საერთო კრებას. თუ კანონ-პროექტის განხილვას საბჭოს წევრთა კანონიერი რიცხვი არ დაესწრო, ორი კვირის შემდეგ, კვლავ დაინიშნება ახალი კრება საბჭოსი და, თუ მაშინაც წევრები არ მოგროვდნენ, მინისტრს, ან მთავარ-მმართველს ნება აქვს საბჭოს განუხილველად ეს კანონ-პროექტი პირდაპირ სახელმწიფო რჩევას წარუდგინოს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმწიფე შეატყობს, რომ საბჭო საქმის გადაწყვეტას აგვიანებს, იგი საბჭოს აძლევს ვადას, რომლის გასვლამდისაც საბჭომ თავისი დადგენილებანი ამ საქმის შესახებ უნდა წარმოადგინოს და, თუ მაშინაც არ წარმოადგენს, კანონ-პროექტს სახელმწიფო რჩევა საბჭოს დაუკითხავად არჩევს. სახელმწიფო საბჭოს წევრებს, რიცხვით არა ნაკლებ ოც და ათისა, ნება აქვთ წარმოადგინონ ახალი კანონები, ანუ წინადადება აწ არსებული კანონების შეცვლისა და გაუქმების შესახებ. ეს წინადადება უნდა წარმოადგინონ წერილობით და, თუ სურთ, თან თავის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტიც მოაყოლონ. იმ მინისტრს, ანუ მთავარ-მმართველს, რომლის უწყებასაც ეს კანონ-პროექტი შეეხება, უნდა ეცნობოს ის დღე, რა დღესაც საბჭოს აზრადა აქვს ამ კანონ-პროექტის განხილვა, ამასთანავე ერთი თვის წინად პროექტის განხილვამდე უნდა წარედგინოთ განზრახულ კანონ-პროექტთა შესახები განცხადების ასლი, თუ მინისტრი, ანუ მთავარ-მმართველი თანხმაა წინადადებისა, მაშინ კანონ-პროექტის განხილვა ჩვეულებრივის გზით ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონ-პროექტის განსახილველად განსაკუთრებული წესი არსებობს: იგი (კანონ-პროექტი) მიღებულ უნდა იქმნას წევრთა საერთო რიცხვის არა-ნაკლებ ორი-მესამედის ხმით, შემდეგ გადადის სახელმწიფო რჩევაში, ხოლო ამის შემდეგ კი წარედგინება თვით ხელმწიფეს. თუ ხელმწიფე თანხმაა საბჭოსი, მაშინ კანონ-პროექტი შესამუშავებლად გადაეცემა თანამდებ მინისტრს, მთავარ-მმართველს, ანუ სახელმწიფო მდივანს. ის განცხადება, რომლითაც მინისტრს, ან მთავარ მმართველს სთხოვენ ცნობებს იმ საქმის შესახებ, რომელიც საბჭოს აზრით უკანონოდ უწარმოებიათ, უნდა წარედგინოს წერილობით და ხელი უნდა ჰქონდეს მოწერილი არა-ნაკლებ 30-ის წევრისა. თუ მინისტრმა, ანუ მთავარ-მმართველმა ერთი თვის განმავლობაში საბჭოს პასუხი არ გასცა, საბჭომ უნდა მოსთხოვოს განმარტება, ხოლო თუ სახელმწიფო საბჭოს წევრთა ორი მესამედის ხმის უმეტესობა არ დაკმაყოფილდა მინისტრის განმარტებით, მაშინ საქმე უნდა გადაეცეს სახელმწიფო რჩევას ხელმწიფის მოსახსენებლად.

სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევანები ხდება ა) გუბერნიებსა, ოლქებსა და ბ) ქალაქებში. ამათ რიცხვშია: პეტერბურგი, მოსკოვი, ასტრახანი, ბაქო, ვარშავა, ვილნა, ვორონეჟი, ეკატერინოსლავი, ირკუტსკი, ყაზანი, კიშინევი, კურსკი, ლოძი, ნიჟნი-ნოვგოროდი, ადესა, ორიოლი, რიგა, დონის როსტოვი ნახიჩევანთან ერთად, სამარა, სარატოვი, ტაშკენტი, ტფილისი, ტულა, ხარკოვი და იაროსლავი. გუბერნიებსა და ოლქებში არჩევნებს ახდენენ საარჩევნო კრებები გუბერნიის მარშლის, ანუ მის მოადგილის თავმჯდომარეობით. აქ ჩამოთვლილ ქალაქთა წარმომადგენელთა არჩევანი ხდება საარჩევნო კრებებზე. სატახტო ქალაქების ამომრჩევლები რიცხვით 160 უნდა იყოს, დანარჩენი ქალაქებისა კი—80.

არჩევანებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ: 25 წლისაზე ახალგაზდები, მოსწავლეები, მომქმედ ჯარსა და ფლოტში მოსამსახურენი, უმიწაწყლო არარუსები (бродячіе инородцы), უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი, ქურდობისა, ქურდობის დაფარვისა, მოვახშეობისა და გაიძვერობისათვის სამართალში მიცემულნი, რომელნიც ჯერ გამართლებულნი არ არიან, თუმცა კი შეიძლება განთავისუფლებულ იყვნენ უმაღლესის მანიფესტით; არჩევნების ნება არა აქვთ აგრეთვე განგებ გაკოტრებულებს, ცუდი ყოფა-ქცევისათვის სამღვდელოებიდან გამორიცხულთ, გამორიცხულთ სათავად-აზნაურო წრიდან და იმათ, ვინც სამხედრო სამსახურს გაექცევიან. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ აგრეთვე გუბერნატორები, ვიცე-გუბერნატორები, გრადონაჩალნიკები და პოლიციელები თავის სამსახურის რაიონში. არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნება ქალებს არა აქვთ. ცენზის მექონე ქალებს შეუძლიანთ თავისი ხმა გადასცენ ქმარსა ან შვილებს. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად აუცილებლად საჭიროა ის ქონებრივი ცენზი, რომელიც ნაჩვენებია შესაფერ დებულებაში.

ამომრჩეველთა კრება უნდა მოხდეს საგუბერნიო, ანუ სამაზრო ქალაქებში დანიშნულებისამებრ, მაზრის მარშლისა, მის მოადგილისა, ქალაქის მოურავისა, ანუ მის მოადგილის თავმჯდომარეობით.

აი, ტექსტიც იმ ფიცისა, რომელიც სახელმწიფო საბჭოს წევრებმა უნდა მიიღონ: „ჩვენ, ქვემორე მოხსენებულნი, აღთქმასა ვდებთ, რწმუნებული ჩვენდა მოვალეობანი სახელმწიფო საბჭოს წევრისა, აღვასრულოთ ჩვენი სინიდისისა და ძალ-ღონის მიხედვით და, მტკიცედ დავიცავთ რა ერთგულებასა მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისას და რუსეთის თვითმპყრობელისას, ვიზრუნებთ მხოლოდ რუსეთის კეთილდღეობისა და სარგებლობისათვის, რასაც საკუთარს ხელს ვაწერთ".

პეტერბურგი. ამა აგვისტოს ექვსსა დღესა ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა: I განსახილველად სახელმწიფო საბჭოს შესახებ წესდებების დამატებათა. მათ რიცხვში, განსახილველად 1) საკითხთა სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობის მისაღებად წევრთა არჩევანებისა პოლონეთისა, ურალისა და ტურგაის ოლქებს, ციმბირის ოლქებსა და გუბერნიებსა, კავკასიის სანამესტნიკოში და აგრეთვე უმიწაწყლო არარუსთა არჩევნებისა, 2) სახელმწიფო საბჭოსათვის არჩევანების დებულებათა სისრულეში მოსაყვანად და 3) მინისტრებისა და მთავარმმართველთა ანგარიშებისა, სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლისა და აგრეთვე სახელმწიფო „როსპისის" გარეშე ხაზინის ხარჯების განსახილველად წესების შესამუშავებლად დაარსდეს კერძო რჩევა. II) ამ რჩევის თავმჯდომარედ დანიშნულია სტატს სეკრეტარი დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი გრაფი სოლსკი, წევრებად: სახელმწიფო რჩევის წევრნი ტაინი სოვეტნიკები ფრიში და პოლოვცევი, გენერალ-ადიუტანტი, გენერალი ინფანტერიისა რიხტერი, სტატს-სეკრეტარი ობერ-გოფმეისტერი თავადი ვოლკონსკი, გენერალ-ადიუტანტი ადმირალი ჩიხაჩევი, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი გერარდი, ტაინი სოვეტნიკები გოლუბევი, ტაგანცევი, და ერხოვსკი, მინისტრები და ცალკე განყოფილებათა მთავარ-მმართველები, სახელმწიფო მდივანი, მინისტრთა კომიტეტის საქმეთა მმართველი, სტატს-სეკრეტარი ბარონი ნოლდე და მისის უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორი ტრეპოვი. III სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვისა და მინისტრთა ანგარიშების განხილვის დროს, ნაბძანებია, რჩევას დაესწრონ ხოლმე დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკები, სტატს-სეკრეტარი კულომზინი, ტერნერი, ივანჩინცკოვი, საბუროვი მეორე, კობეკო, შიდლოვსკი, ჩერევანსკი და ტაინი სოვეტნიკი რომანოვი. IV) რჩევის საქმის წარმოება მიენდოს სახელმწიფო მდივნის ამხანაგს ტაინი სოვეტნიკს ხარიტონოვს, როგორც წევრს—საქმის მწარმოებელს. ამასთანავე ხელმწიფე იმპერატორსა სურს, რომ რაც შეიძლება მალე შემუშავდეს ის საკითხები, რომლებიც გამოწვეულია სახელმწიფო საბჭოს დაკანონების დებულებათა სისრულეში მოყვანისთვის.

იმ ადრესს, რომელიც ხელმწიფე იმპერატორს, 784-მა სხვადასხვა წოდების და მდგომარეობის კაცმა მიართვა—უმრავლესობა მოსკოვის გუბერნიის გლეხობაა, და რომელშიც სხვათა-შორის ნათქვამი: „დიდებულო ხელმწიფევ! ჩვენ გულსავსებით გენდობათ და გსასოებთ შენ. გვწამს, რომ სამშობლოს მტერს არ დაუთმობთ არც ერთს ციდას რუსეთის მიწასას და არ გადაუგდებთ არც ერთ მანეთს ჯილდოს სახით". ხელმწიფე იმპერატორმა საკუთარის ხელით დააწერა: „გულწრფელად ვმადლობ ადრესის ხელის მომწერლებს, მთელის ჩემის არსებით თანავუგრძნობ ნამდვილს და თავანკარ რუსებს".

ოდესა, 5 აგვისტო. 9 აგვისტოს სევასტოპოლში მოვა გემი—საავადმყოფო ,,კოსტრომა" და თან დაჭრილებს მოიყვანს.

პეტერბურგი. ქალაქის საარჩევნო კრების არჩევანთა წესები. საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლებს ნება ეძლევათ ერთის თვის განმავლობაში ჰმართონ მოსამზადებელი კრებები, იმათ დასასახელებლად, ვინც არჩევნების ღირსია. მოსამზადებელ კრებებზე დასწრების ნება მხოლოდ ამომრჩევლებსა აქვთ. თუ პოლიციის წარმომადგენელმა საჭიროდ დაინახა, კრება დაუყოვნებლივ დახურულ უნდა იქმნეს. ამომრჩევლებმა პირადად უნდა გადასცეს ამომრჩევ კომისიის თავმჯდომარეს თავისი ბარათი, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს სახელი, მამის სახელი და გვარი იმათი, ვისაც ის ხმას აძლევს. დასახელებულთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო რაიონში ასარჩევად განზრახულ წევრთა რაოდენობას. არჩევნები ერთ დღეს უნდა გათავდეს და ყველა საარჩევნო რაიონებში ერთსა და იმავე დროს მოხდეს. ხმები უნდა დაითვალოს მეორე დღეს საარჩევნო კომისიის სხდომაზე, რომელშიაც მონაწილეობა ამომრჩევლებსაც შეუძლიანთ მიიღონ.

ამომრჩეველნი იკრიბებიან საგუბერნიო ან სამაზრო ქალაქებში. სამაზრო მემამულეებისა და ვოლოსტების რწმუნებულთა კრებას თავმჯდომარეობს თავადაზნაურთა სამაზრო წინამძღოლი, ქალაქის ამომრჩეველთ კი—ქალაქის მოურავი. მემამულეთა სამაზრო კრებაში შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს ყველამ, ვისაც კი 100—800 დესეტინა მიწა აქვს, ან კიდევ 1500 თუმნის შეძლება (სავაჭრო-სამრეწველო ქონება მხედველობაში არ მიიღება), იმ რწმუნებულებს რომლებსაც აღნიშნულ ცენზზე ნაკლები ქონება აქვთ, შეუძლიანთ შეერთდნენ და ერთი წარმომადგენელი იყოლიონ; აგრეთვე იმ სამღვდელოებათა წარმომადგენლებს, რომელთაც მაზრაში საქალაქო მიწები აქვთ.

ქალაქის ამომრჩეველთა კრებაში მონაწილეობას იღებენ: ის პირნი, რომელთაც ქალაქებში და მაზრაში აქვთ ას ორმოცდაათ თუმნად დაფასებული (საერობო გადასახადისათვის) ქონება, ან სამრეწველო მოწმობები: ვაჭრობაზე—პირველი ორი ხარისხისა, მრეწველობაზე—პირველი ხუთი ხარისხისა, ან სანაოსნო მოწმობა, რომლითაც იხდის არა უმცირეს ხუთის თუმნისა; ის პირნი, რომლებიც ბინაზე სახელმწიფო გადასახადს იხდიან, მეათე ხარისხიდან დაწყებული, ის პირნი, რომლებიც ძირითად სამრეწველო გადასახდს იხდიან. ვოლოსტების რწმუნებულთა კრებაზე მონაწილეობას იღებენ, აგრეთვე, სასოფლო კრებების ამორჩეული პირები, თითოდან ორ-ორი. ამ პირებს სასოფლო კრებები იმ გლეხთაგან ირჩევენ, რომლებიც თავიანთ სოფლის საზოგადოებას ეკუთვნიან. ქალაქის საარჩევნო კრებებზე ქალაქის წარმომადგენელთა ამოსარჩევად მონაწილეობას იღებენ ყველა ის პირნი, რომელთაც ქალაქის საზღვრებში ექნებათ შეძლება—სატახტო ქალაქებში არა უმცირეს სამას თუმნად ღირებულისა, დანარჩენ ქალაქებში—არა უმცირეს ას ორმოცდა ათ თუმნისა; ვინც სავაჭრო-სამრეწველო საქმეს ადგია და აქვს მოწმობა: სატახტო ქალაქებში ვაჭრობაზე—პირველი ხარისხისა, სამრეწველოზე—სამი პირველი ხარისხისა და სანაოსნო, ვინც არა უმცირეს ორმოცდა ათი თუმნის სამრეწველო გადასახადს იხდის; დანარჩენ ქალაქებში: სავაჭროზე—პირველი ორი ხარისხისა, სამრეწველოზე—პირველი ხუთი ხარისხისა, ან სანაოსნო—ვინც იხდის სამრეწველო გადასახადს არა უმცირეს ხუთი თუმნისა; პირები, რომლებიც იხდიან პირველ ხარისხის ძირითად სამრეწველო გარდასახადს პირად სამრეწველო სამუშაოზე; ის პირები, რომლებიც იხდიან ბინის გადასახადს, დაწყებული მეათე ხარისხიდან. ყოველ საარჩევნო კრებაზე, ან ნაწილში ერთი ხმის მეტი არავის ეძლევა.

კანონიერ არჩევნებს თვალ-ყურს ადევნებენ: შინაგან საქმეთა მინისტრი, გუბერნატორი და გრადონაჩალნიკი.

51 გუბერნიასა და ოლქებში ასარჩევ სახელმწიფო საბჭოს წევრთა რაოდენობა.

არხანგელსკის გუბერნიაში—ორი კაცი. ასტრახანისა, კურლიანდიისა, პეტერბურგისა, სტავროპოლისა და ესტლიანდიის გუბერნიებში—სამ-სამი; ლიფლიანდიისა, ფსკოვისა და იაროსლავის გუბერნიებში—ოთხ-ოთხი; ვოლოგდისა, კალუგისა და ტულის გუბერნიებში—ხუთ-ხუთი; ვოლინისა, ვიტებსკისა, ვლადიმირისა, კოვნისა, მოსკოვისა, ნიჟეგოროდისა, ნოვგოროდისა, პენზისა, სიმბირსკისა, სმოლენსკისა და ტავრიზის გუბერნიებში—ექვს-ექვსი; გროდნისა, მოგილევისა და ორენბურგის გუბერნიებში—შვიდ-შვიდი; ბესარაბიისა, ორიოლისა, რიაზანისა და ტვერის გუბერნიებში რვა-რვა; ეკატერინოსლავისა, ყაზანისა და მინსკის გუბერნიებში—ცხრა-ცხრა; კურსკისა, სარატოვისა, უფისა, ხარკოვისა და ჩერნიგოვის გუბერნიებში—ათ-ათი; ვორონეჟის გუბერნიაში თერთმეტი; პოლტავისა, სამარისა და ტამბოვის გუბერნიებში — თორმეტ-თორმეტი; ვოლინისა, ვიატკისა, პერმისა და პოდოლსკის გუბერნიებში—ცამეტ-ცამეტი; კიევის გუბერნიაში—ხუთმეტი. ქალაქებმა უნდა ამოირჩიონ: პეტერბურგმა—6; მოსკოვმა—4; ასტრახანმა, კიშინევმა, ვილნამ, ვორონეჟმა, დონის როსტოვმა, ეკატერინოსლავმა, ყაზანმა, კიევმა, კურსკმა, რიგამ, ნიჟნმა, ორიოლმა, სამარამ, სარატოვმა, ტულამ, ხარკოვმა და ოდესამ—თითო-თითო კაცი.

პეტერბურგი, 6 აგვისტო. სენატორის მამონტოვის თავმჯდომარეობით შესდგა სენატორთა კრება, თავმჯდომარემ უმაღლესი მანიფესტი წაიკითხა.

ხარკოვი, 5 აგვისტო. საგუბერნიო საერობო საგანგებო კრების მოწვევაზე გუბერნატორმა ნება არ დართო.

მოსკოვი, 6 აგვისტო. სახელმწიფო საბჭოს შესახებ მანიფესტს მოსკოვი დიდის იმედებით შეეგება. ქალაქში ბაირაღები გამოფინეს. ხვალ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში სამადლობელ პარაკლისს გადაიხდიან დღეს. რესტორან „მეტროპოლ"-ში ხალხმა ჰიმნის შესრულება მოისურვა და „ურა"-ს ძახილით მიეგება. შემდეგ მოითხოვა შამპანური და ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო დალია.

ირკუტსკი, 6 აგვისტო. სადგურ ,,ზიმა"-ს ახლოს, 1 აგვისტოს, სამხედრო მატარებელი დაიხ-

ფელეტონი

დედათა საქმე *)

ჩვენს დროში, როდესაც რუსეთის ყველა საზოგადოებრივი ძალები სამოქმედოდ დამზადებულან, მთელი რუსეთი გაფაციცებით ყურს უგდებს საერო განათლების, ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მუშაკთა გაბედულ სიტყვას,—დროა დედებმაც წარმოსთქვან თავიანთი შეხედულობა, დროა გამოუცხადონ საზოგადოებას თავიანთი გაჭირვება და საჭიროება: ქალებიც ხომ ერთი საზოგადოებრივი ძალაა, და ძალა არა მცირე. დროა ამიტომ მოიფიქრონ თვითონ და მთელმა საზოგადოებამაც მათთან ერთად, თუ როგორ უნდა შეიქმნეს ეს ძალა ხალხისათვის უფრო ნაყოფიერი.

რას წარმოვადგენთ ახლა ჩვენ, დედები? როგორი სულიერის ავლადიდებით გვათხოვებენ ამ ქამად და რანაირი მომზადებით ვკისრულობთ დედის უძნელეს მოვალეობას? სამწუხაროდ უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენი ქალწულების უმეტესობა, გათხოვების დროს, სრულებით არ ფიქრობს თავის მომავალ შვილებზე, და ყმაწვილიც მას დაუპატიჟებელ სტუმარივით მოსდის. არც ოჯახში, არც სასწავლებელში ჩვენ ქალს ყმაწვილის აღზრდის, მის პსიხოლოგიის და ჰიგიენის შესახებ არავითარი ჰკვიანური არ ესმის, ვინაიდან გონიერ სიტყვად არ ჩაითვლება ის პედაგოგიკა, რომელსაც ასწავლიან ქალების გიმნაზიების მე-8-ე კლასში. ქალს არასოდეს არ მოუვლია პატარისათვის, და აი ერთს, მისთვის და ყმაწვილისათვის უბედურ დღეს იგი დედად ხდება ე. ი. მან უნდა ჰკვებოს და აზარდოს ეს პაწია არსება და კაცად გამოზარდოს.

მეწაღე, მკერვალი, მასწავლებელი, მზეარეული, ექიმი და ჯარის-კაცი,—ყველა თავის საქმისთვის წინადვე ემზადება და არც ერთი არ ჰკიდებს ხელს თავის ხელობას, სანამ არ შეიძენს საჭირო ცოდნას, საქმეს შესაფერად არ შეეჩვევა,—მხოლოდ დედად და მხოლოდ დედების აღმზრდელად ხდება ქალი მოუმზადებელი და უცოდინარი. არც ჩვენ და არც საზოგადოებას არ უკვირს ასეთი მდგომარეობა. ჩვენ ვამახინჯებთ ჩვენს შვილებს ფიზიკურად და სულიერად. უსწორო, ხმა-ამოუღებელი, უუფლებო ქმნილება კი მარტო ყვირილით და ცრემლით გვიცხადებს თავის პროტესტს, მაგრამ ბუნების ამ ხმასაც ჩვენ უმოწყალოდ ვახშობთ. ჩვენი აღზრდის ნაყოფი,—ენერგიით სავსე, ცოცხალი, მდიდარ ინიციატივით დაჯილდოვებული პატარა ბავშვი, ყველა ამ თვისებას ჰკარგავს და არარად ხდება.

მარტო ყმაწვილები კი არ ხდებიან თანამედროვე აღზრდისა და ოჯახურ წყობილების მსხვერპლად, თვით ჩვენ, დედები რამდენისამე წლების უსიხარულო დედობის შემდეგ, ვხდებით ფიზიკურად და სულიერად დამახინჯებული. ახლანდელი დედობა ჩვენის ადამიანურ „მე"-ს ყოველ მოთხოვნილებას გვისპობს—და ბოლოს და ბოლოს, ისეთი დამახინჯებული და, გადაგვარებული ვხდებით, რომ ჩვენ თვითონ ჩვენ თავს ვეღარ ვსცნობთ. სადაა ქალწულის გამომცდელი ჭკუა, შემტკიცარი გული, საადა ის ახალგაზდა მოქალაქე, ხალხის კეთილდღეობისათვის რომელსაც არც კიდილი და არც ბორკილი არ აშინებდა? მის მაგიერად ვხედავთ საცოდავ დედას, რომელიც კანკალებს თავის შვილის ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე, რომელიც ურჩევს შვილს მორჩილებას და მონობას, ან თუ არა და ეს ქალი ახლა გულდახურულ ქმნილებად ქცეულა, მისი ცხოვრება დამახინჯებულა.

სად არის ხსნა? ნუ თუ შეუძლებელია დედობის მრავალგვარი მოვალეობა ადამიანის მოვალეობასთან ერთად? თანამედროვე ოჯახური და საზოგადო წყობილების დროს ეს, შეერთება სავსებით შეუძლებელია; ამიტომ დედაკაცმა უნდა აირჩიოს ან საზოგადოებრივი შრომა ან შვილი. მაგრამ თუ იგი ირჩევს დედობას, მაშინ, მარტო ოჯახური მოვალეობანი არ დააკმაყოფილებენ მას და 2) ის ხომ სრული ადამიანი არ იქნება, არამედ ადამიანის ნაწილი. ოჯახის უარყოფა სულიერ და საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის ჭკუაში დასაჯდომი საქმე არ არის: სიყვარული—ეს ხომ მზეა, რომლის ქვეშ სული მდიდარ ყვავილად იფურჩქნება, სიყვარული—ეს ხომ პირობაა, ურომლისოდ ადამიანის პიროვნება არაოდეს არ გაშლის ყველა თავის საუნჯეს, ყველა თავის ძალებს არ გამოამჟღავნებს..

საზოგადოების სარგებლობისათვის და პირად ბედნიერებისათვის დედაკაცმა არც დედობა და არც საზოგადოებრივი შრომა არ უნდა უარჰყოს. დედაკაცს ისეთ პირობებში ჩაყენება არის საჭირო, რომ მათი შეერთება შეეძლოს, საზოგადოებამ უნდა შეიგნოს ეს და დაგვეხმაროს. ჩვენ კი, დედებმა, უნდა ვიბრძოლოთ ჩვენის უფლებისათვის; ჩვენ დედებმა, უნდა მივცეთ ერთმანეთს ხელი, უნდა შევკრთდეთ ერთმანეთის დასახმარებლად ამისთანა ძნელ და პასუხსაგებელ საქმეში, როგორიც არის შვილების აღზრდა. ეს საურთიერთო დახმარება შეიძლება გამოიხატოს ამნაირად: ყოველ ქალაქში, სადაც კი სცხოვრობენ დედები, ყოველ ქალაქსა და სოფელში შეიძლება დაარსდეს დედების კავშირები, მშობლების წრეები, რომელნიც საყმაწვილო ბაღებს გამართავენ, მაგრამ სრულიად განსხვავებულებს ახლანდელებისაგან: აქ არ იქმნებიან დაქირავებული გარეშე აღმზრდელები, რომელნიც საქმეს ხელს ჰკიდებს ლუკმა პურისათვის და შეაქვთ მხოლოდ ფორმალიზმი საქმეში. აღმზრდელებად იქმნებიან აქ თვითონ დედები, რომელნიც იმუშავებენ ერთად, მეგობრულად, და ერთმანერთს ამ დიად, საზოგადოებრივ საქმეს გაუადვილებენ. დედები თავიანთ და სხვისა შვილებისაგან, მომავალ მოქალაქეებს აღზრდიდნენ, და მათი შრომაც იქნებოდა უფრო ნაყოფიერი და ადვილი, რადგანაც იქნებოდა განაწილებული, და ყოველი დედა მოჰკიდებდა ხელს იმას, რაც უფრო შეეფერება, და ეხალისება: ზოგს უყვარს და იცის ყმაწვილის მოვლა, სხვები კი უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდნენ მოზრდილ ყრმათა გონებით და ზნეობრივ ძალების განვითარებით. ზოგმა იცის სხვისი, შვილების აღზრდა, თავისას კი ნამეტან განებივრებით აფუჭებს; ზოგს შეუძლიან ბავშვებზე კეთილი ზედგავლენა იქონიოს. და, აი, საერთო „საზოგადოებრივ" აღზრდაში ყველა ეს ინდივიდიალური თვისებანი ჰპოვებდნენ სამოქმედო ასპარეზს, და რანაირი სასწაული შეეძლო მოეხდინა ამგვარ შეერთებას!

მეორეს მხრივ, თავმოყვარეობა, ეგოიზმი, რომელიც ასე ხშირად ღუპავს ადამიანის პიროვნებას, უწამლავს სიცოცხლეს დედებს,—ყმაწვილის ხასიათის ეს მხარეები საზოგადოებრივ, აღზრდის დროს, სრულიად აღარ განვითარდებოდნენ. ალტრუიზმი კი, ამხანაგური გრძნობა, საზოგადოებრივი ინსტინქტი, რომელიც უმეტეს ნაწილად არ არის ყმაწვილში, და შემდეგ მოზრდილებშიაც, გადიფურჩქნებოდნენ მდიდრულად. ამ გვარად თავისთავად, აკვნიდანვე სხვა ყმაწვილებთან ერთად ცხოვრების შეჩვევა, ერთად მუშაობა, ერთად თამაშობა და მხიარულება ჩვენს ყმაწვილებს მოქალაქეებად აქცევდა. მუშაობის და თამაშის პროგრამა, ჩვენგან, დედებისაგან შედგენილი იმათთვის, ვინც ჩვენთვის უძვირფასესი არიან დედამიწაზე, ექიმებისა, პედაგოგისა და, საზოგადოდ, ბავშვთა მეგობრებისა ცხოველი მონაწილეობა საქმეში როგორ იმოქმედებდა ყოველთვის პატარა მოქალაქეთა ფიზიკურ და სულიერ აღზრდაზე! ამის გარდა, სასტიკი კონტროლი ერთმანეთის საქციელებზე, მათი განსჯა მეგობართა წრეში, რჩევები უფრო გამოცდილ ამხანაგებისა, მათი მართლმსაჯული, სამართლიანი და სასტიკი, მაგრამ არა მტრული შენიშვნები,—როგორ აღვზრდიდა თვითონ ჩვენ, როგორ გააუმჯობესებდა პატარა მოქალაქეთა აღზრდის საქმეს და მოზარდი თაობა იქნებ ჩვენზე რამდენად უკეთესი შეიქმნებოდა!

„სიცოცხლე უკეთესისათვის"—ეს იდეალი განხორციელდებოდა ჩვენს თვალთ წინვე. დასასრულ, ყმაწვილებისა აკვნიდანვე გაზდის და აღზრდის საქმე იქმნებოდა საზოგადოებრივი. ის დედები კი, რომელნიც მათთვის მიუწდომელ საზოგადოებრივ საქმისათვის სწუხან, ჰპოვებდნენ მას. ეს პატარა წრე, შემდგარი ლვიძლ შვილების აღმზრდელ დედებისაგან, შეიძლება დიდ წრეებად შეიქნეს. ამ წრეებში ჩვენ ბავშვებთან ერთად აიზარდებოდნენ ის ყმაწვილებიც, რომელთა დედებს რამე მიზეზით ამ წრეებში შემოსვლა და მუშაობა არ შეეძლებათ. აქ სახეში მყავს მუშების, გლეხების, საზოგადოდ მშრომელ დედაკაცების შვილები. ამ ქალებში დედების კავშირმა ნდობა, უნდა მოიპოვოს, დაიყოლიოს, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა საერთო ორგანიზაციაში. კავშირი უნდა ზრუნავდეს ამ დედების კულტურულ განვითარებას.

არა ნაკლებად საზრუნავ საქმედ უნდა იყოს დედების ეკონომიური მდგომარეობა, შემნახველი, ურთ-ერთის დამხმარებელი კასსები, იურიდიული საკითხი დედაკაცის უფლებრივი მდგომარეობა საზოგადოდ და დედის კერძოდ, ქორწინების და გაყრის საკითხი, კულტურული,—დედაკაცებისათვის, უმაღლესი სწავლა-განათლება, ქალების გიმნაზიების პროგრამაში შეტანა ჰიგიენის, ექიმობის, ფსიხოლოგიის და პედაგოგის საჭირო ცნობებისა. დედებისთვის სკოლები ან კურსები, რომელნიც მისცემდნენ შეძლებას შეავსონ, განაახლონ, ან შეიძინონ საჭირო ცნობები; საყმაწვილო ცნობები, სათამაშოები, გასართობები, სახელმძღვანელოები; სასკოლო პედაგოგიურ რჩევებში დედების მონაწილეობის საკითხი, ორივე სქესის ერთად სწავლებისათვის, ისნაირ სკოლების დაარსება რომელიც იქნებოდა საყმაწვილო ბაღის პირდაპირი გაგრძელება, მოსწავლე ახალგაზდობის კავშირი; ზრუნვა ზნეობის საზოგადო და კერძოდ სქესებრივ ზნეობის ამაღლებაზე; ბრძოლა გარყვნილებასთან და მის მიზეზებთან; ამზდელების, როგორც დედათა ნამდვილ შემწეების საკითხი; ამზდელებას კულტურული და ზნეობრივი ამაღლება, ამზდელების სკოლები, კავშირები და კასსები; ძიძების, უკანონო შვილების, მიგდებულ შვილების, ობლების, მათხოვარა ყმაწვილების, მცირე წლოვან დამნაშავეთა საკითხი; ყმაწვილების მფარველობა; ბავშვების მუშაობა, ზრუნვა ყმაწვილების სასმელ-საჭმელის გაუმჯობესობაზე; ჰიგიენური სადგომები, ტანთსაცმელი; სანატორიების საკითხი, ჩვენი საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, კრებები, რეფერატები. ცხოვრების და პედაგოგიკის საინტერესო და საჭირო საკითხების შესახებ—აი დედათა კავშირის მოღვაწეობა საზოგადოდ.

თანდათან ეს დედების კავშირი განვითარდება, გამაგრდება და შეჰქმნის იმ ერთ ხიდთაგანს, რომელიც გაუადვილებს ჩვენს საზოგადოებას თანამედროვე ხასის და სიბნელისაგან გადასვლას სხვა უფრო სრულ წყობილების ნათელ და თავისუფალ ჰარმონიისკენ.

მაგრამ ამ კავშირის განხორციელებისათვის საჭიროა ჩვენ, დედებმა, გავიცნოთ ერთმანეთი, საჭიროა აზრების გაზიარება ზემო აღნიშნულ საკითხების შესახებ,—საამისო საუკეთესო გზა და საშუალება კი—პრესსაა...

ნ. იკოთელი.

---

*) წერილი პანებრატცევისა ჟურნალ „ობრაზოვანიედან".

დაგიდან გადავარდა. მოკლულთა და დაშავებულთა რიცხვი 80 კაცამდეა.

ლონდონი, 6 აგვისტო. მომეტებული ნაწილი ლონდონის გაზეთებისა, სახელმწიფო საბჭოს დაარსების შესახებ უმაღლეს მანიფესტს არჩევენ. „დელი ტელეგრაფ“-ი ამბობს, ხალხის წარმომადგენელთა მოწვევით, რუსეთის ისტორიაში იწყობა ახალი ხანა, რომელსაც სამოქალაქო თავისუფლება მოჰყვებაო.

პარიზი, 6 აგვისტო. სახელმწიფო საბჭოს დაარსების შესახებ მანიფესტი ყველა გაზეთებს უკომენტარიოდ მოჰყავთ, კლემანსოს გაზეთის გარდა, რომელიც ამ საბჭოს აძაგებს.

რომი, 6 აგვისტო. „მესსაჯერო“-ს დღევანდელ ნომერში მოჰყავს მანიფესტი და დღევანდელ დღეს რუსეთის ცივილიზაციის ისტორიაში მრავალ-მნიშვნელოვან დღედ სთვლის. სოციალისტური ორგანი ,,ავანტი'' ამბობს, კონსტიტუცია რუსეთში—ავტოკრატიულ-ბიუროკრატიის ნაყოფიაო. დანარჩენი გაზეთები ხმას არ იღებენ.

პეტერბურგი. უმაღლესად გამოცხადებულ რეფორმის გამო, ქალაქის საბჭოს კრებაზე განიზრახეს სამადლობელი პარაკლისი გადაიხადონ. რამდენიმე პროექტია საბჭოში წარდგენილი: ქალაქის დაწესებულებათ უფასოდ უნდა დაეთმოთ ფართო ადგილი სახელმწიფო საბჭოს შენობის ასაგებათ, ეპატიოს საავადმყოფოს დარჩენილი ვალი და საადრესო სტოლის ხელფასი; ყველა სკოლები, რაც ამ წელს ქალაქში გაიმართება, 1905 წ. 6 აგვისტოს სახსოვრად, ქალაქის სკოლებად იწოდებოდნენ.

სტამბოლი, 5 აგვისტო. გუშინ ბულგარეთ-ოსმალეთის საფოსტო-სატელეგრაფო კონვენციაზე ხელი მოაწერეს.

სტამბოლი, 5 აგვისტო. სმირნაში ანარქისტების შეთქმულობა აღმოაჩინეს. აუარებელი ყუმბარები იპოვეს. დამნაშავენი დაატუსაღეს. ფიქრობენ, რომ ისინი ბულგარელები არიან.

მაკარია, სტაროობრიადცების კრებაზე დაადგინეს სამრევლოების შედგენა. ამ საკითხის გამო მოსკოვში ექმნებათ ბიურო, საიდანაც ყოველნაირს ცნობების მიღება შეეძლებათ, დაადგინეს აგრეთვე, რომ სტაროობრიადცებს უბახის მონასტერი დაუბრუნდეთ, ზოგიერთს გუბერნიებში დაუქმებული სენაკები განახლდეს, სემენოვის მაზრაში ერთის სკოლებისათვის მასწავლებლები იპოვონ, ყოველ ეპარქიაში გალობის სკოლები იქონიონ, სამღვთო სჯულის მასწავლებელთა ცენზი აწიონ, წიგნთა ბეჭვდა მოაწყონ, უცხო ენათა სკოლები დაარსონ და მაკარიაში ძველ ნივთების დასაცავი შენობა ააგონ.

ამას გარდა სტაროობრიადცების შესახებ ახალი უფლებანი განიხილეს.

კიევი. კიევის მუშათა არტელმა შეიძინა და აკურთხა მუშათა უბანი, რომელშიაც 40 სამოსახლო ნაჭერია, თითო ხუთას საჟენიანი. უბანი ქალაქ გარედ მდებარეობს. ამ სამოსახლო უბნის მესაკუთრენი მუშები არიან, რომელთა წლიური შემოსავალიც 60 თუმანამდეა.

როტტერდამი, ინგლისის ესკადრა ზღვაში გავიდა, ხალხი აღტაცებით ესალმებოდა.

სარატოვი, აუარებელი გლეხობა მოაწყდა ქალაქს სამუშაოს საძებნელად.

ოდესა. ხალხი იტაცებს მანიფესტის დეპეშებს, სტამბები ბეჭვდას ვერ ასწრობენ. რედაქციები სავსეა ხალხით. საკათედრო ტაძარში, წირვის შემდეგ, არქიეპისკოპოსმა მანიფესტი წაიკითხა.

სტამბოლი, სმირნიდან იუწყებიან, რომ იქ სომეხთა შეთქმულობა აღმოაჩინეს. 30 დიდი ჯოჯოხეთის მანქანა, 48 ნაღმი და აუარებელი ასაფეთქებელი მასალა უპოვნიათ. ამბობენ რომ მთავრობის შენობებისათვის, სულთნისათვის და სხვა დაწესებულებათათვის ამზადებდნენო. სულთანსა და ქალაქს სასტიკად იცავენ.

პარიზი. ლეონ ბურჟუა სენატორად აირჩიეს. მხატვარი ბუგრო გარდაიცვალა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აგვისტო.

პორტსმუტი, 5 აგვისტო. როგორც ამბობენ, იაპონიის საფინანსო აგენტი კანეკო დღეს რამდენჯერმე რუზველტთან ყოფილა. ჰფიქრობენ, ამ დღეებში რუზველტი გამოაქვეყნებს ცნობებს მოლაპარაკების მდგომარეობის შესახებ. აქ დიდის ინტერესით ადევნებენ თვალყურს იმას, თუ ინგლისი და გერმანია როგორ ექცევა ზავზე მოლაპარაკების შესახებ საკითხს.

პორტსმუტი, 5 აგვისტო. კონფერენციის სხდომები გადიდო 9 აგვისტოსათვის. ამ დღეს უკანასკნელად იკამათებენ.

ლონდონი, 5 აგვისტო. როგორც „ტაიმს“-ის ცნობებიდან სჩანს, ვიტტეს უთქვამს იაპონელებისთვის: „ჩვენ გადაგიხდით ყველა იმ ხარჯებს, რომლებსაც ჩვენ სასიკეთოდ ეწეოდით: ტყვეების შენახვისა და ამგვარ სხვა ხარჯებს უხვად გადაგიხდით, მაგრამ იმ ხარჯებში კი, რომელთაც ჩვენ საზარალოდ ეწეოდით, ერთს კაპეიკსაც ვერ მიიღებთო. «დელი ტელეგრაფის» კორესპონდენტი ამბობს, ვიტტემ წინადადება მისცა, ფორმალურ რწმუნებას მოგცემთ, რომ რუსეთს ამჟამად აზრად არა აქვს, აღმოსავლეთის წყლებში თავისი ფლოტი გააძლიეროსო. მაგრამ, რადგანაც იაპონელებს ამის საკითხის შესახებ არაფერის დათმობა არ უნდათ, ვიტტეს უარი უთხრეს. ვიტტემ მიიღო ის პირობა, რომ რკინის გზას ხარბინიდან, როგორც ჩრდილოეთისკენ, ისე სამხრეთისკენ სამხედრო საქმისთვის არ გამოიყენებენ. ინგლისის გაზეთების უმეტესი ნაწილი გარდა „დელი ნიუს“-ისა, იაპონიის პირობებს იწონებენ, მაგრამ შიშობენ, ვიტტეს ისეთი ძლიერი გავლენა აქვს, რომ ვაი, თუ ამერიკის საზოგადოების აზრი რუსეთისაკენ მოიმართოსო.

პორტსმუტი, 5 აგვისტო. მთელი დილა წყნარ ოკეანეში საზღვაო ძალების შეზღუდვის შესახებ საკითხის განხილვას მოანდომეს. შუადღის შემდეგ, ისევ ამ საკითხს დაუბრუნდნენ. შემდეგი სხდომა მოხდება ორშაბათს, რათა რწმუნებულთ დრო ჰქონდეთ, თავის მთავრობას მოხსენება გაუგზავნონ, ისე რომ ზავისა თუ ომის გადაწყვეტა მიკადოსა და ხელმწიფის ხელშია. მეთორმეტე მუხლი, რომელიც ეხება თევზის კონცესსიებს ციმბირის ნაპირზე, მიღებულ იქმნება. გაჭირდება მხოლოდ კონტრიბუციისა და აღმოსავლეთ წყლებში საზღვაო ძალების შეზღუდვის შესახებ საკითხების გადაწყვეტა. დილის სხდომაზე კომურამ განაცხადა, სამხედრო ხარჯი დღეში ათი მილიონ ფრანკს უდრისო და და ეს ხარჯი 500 დღის განმავლობაში გვქონდაო.

ტოკიო, 5 აგვისტო. საზღვაო ძალების შეზღუდვას მთავრობა ისეთ მნიშვნელოვან საქმედ სთვლის, რომ ის მზად არის ომი განაგრძოსო.

ლონდონი, 6 აგვისტო. ამბობენ, ვიტტემ ზავის ჩამოგდებაზე იმედი სრულიად დაჰკარგაო. აზრად აქვს, 9 აგვისტოს პორტსმუტიდან წავიდესო. მეორეს მხრივ, სატო ამბობს, მე კიდევ იმედი მაქვს, რომ ზავის საქმე სასურველად დამთავრდებაო.

პორტსმუტი, 5 აგვისტო. ორივე მხარის დელეგატების სიტყვები იმას მოასწავებს, რომ ჩინეთი შეისყიდის აღმოსავლეთ რკინის გზის იმ ნაწილს, რომელსაც იაპონიას დაუთმობენ. ამასთანავე საჭირო კაპიტალს ამ ოპერაციისთვის ინგლის-გერმანიის სინდიკატი მისცემს.—იაპონია თხოულობს მხოლოდ იმ გემებს, რომლებიც ბრძოლის დროს დაზიანდნენ და უსათუოდ ხელშიაც ჩაიგდებდნენ, მახლობლად რომ სანეიტრალო ნავთსადგურები არ ყოფილიყო. უკანასკნელი ოთხი მუხლი შეეხება სამხედრო დაჯილდოვებას, დაზიანებულ გემების გადაცემას, აღმოსავლეთ აზიაში რუსის ჯარის კონტინგენტს და თევზის ჭერის უფლებას.

პორტსმუტი. ხმა დადის, რომ გუშინდელ საღამოს სხდომის შედეგი ის იყო, რომ რუსები დაჰყაბულდნენ სახალინის დათმობაზე იმ პირობით კი, რომ კუნძულზე იაპონელებმა არავითარი სიმაგრე არ ააშენონ. აქ ფიქრობენ, რომ დღეს ყველა იმ მუხლების განხილვას დაამთავრებენ, რომლის შესახებაც ცოტაოდენი უთანხმოება მოსდიოდათ. უმთავრესს მუხლებს ექვსს ან შვიდს აგვისტოს განიხილავენ.

ტოკიო, 4 აგვისტო. გამოაქვეყნეს იაპონიის და კორეის ახალი ხელ-შეკრულობა, რომლის ძალითაც იაპონელებს ნება ეძლევათ, თავისუფლად იქონიონ გემები კორეის შიგნით და ტერიტორიალურ წყლებში.

ტოკიო. გავლენიან წრეებს საშინელი ცვლილება შეეტყო. იმედოვნებენ, რომ ზავი მალე ჩამოვარდება.

პორტსმუტი, 5 აგვისტო. ,,მატენის'' სიტყვით, კონფერენციის კეთილად დაბოლოვებაზე რუსეთის მისსიის წევრებს სრულებით იმედი დაუკარგავთ.

პარიზი, 5 აგვისტო. გუშინ ვიტტეს პორტსმუტში საყურადღებო რჩევა ჰქონდა. რჩევას რუსეთის ყველა დელეგატები დაესწრნენ. რუსეთის ზოგიერთი რწმუნებული თანახმა ხდება სახალინის დათმობაზე. მეორენი კი სამხედრო ჯილდოს გადახდას რჩეულობენ, მაგრამ არც ერთი არ გამოჩნდა ისეთი, რომელსაც ორივეს მიცემა სურდეს. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ მოლაპარაკება შესწყდება.

ბერლინი, 6 აგვისტო. „ანცეიგერის“-ს პორტსმუტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, რამდენადაც ვიცი, ვიტტეს შეუძლებლად სახალინის დათმობა, ან კონტრიბუციის გადახდა კი არ მიაჩნია, არამედ აღმოსავლეთ აზიაში რუსეთის ძალთა შეზღუდვა. ,,ანცეიგერის'' ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონიაში ამ მუხლს ძალიან დიდს მნიშვნელობას აძლევენ. ფიქრობენ, რომ, თუ რუსეთმა ეს მუხლი არ მიიღო, ომი დიდხანს გაგრძელდებაო.

პორტსმუტი, 6 აგვისტო. კონფერენციის პროტოკოლებს ხელს ორშაბათს მოაწერენ. იმ დრომდის ორივე მხარე თავის მთავრობასთან მოლაპარაკებას იქონიებს. საბოლოოდ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ტოკიოს და პეტერბურგს ექმნება. თუ იაპონიამ ერთი, ან ორი მუხლი არ დაუთმო, კონფერენცია უნაყოფოდ ჩაივლის.

პორტსმუტი, 6 აგვისტო. თუმცა დილის სხდომაზე განსაკუთრებით მეთერთმეტე მუხლს ირჩევდნენ, მაგრამ ამასთანავე დანარჩენი მუხლებიც გადაათვალიერეს, რადგანაც მეთერთმეტე მუხლზე ვერ შეთანხმდნენ, შეუდგნენ უკანასკნელ მუხლის განხილვას, რომელიც ორივე მხარემ მიიღო. სხდომა გადაიდო ცხრა აგვისტოს სამის საათისთვის, ამ დღეს ოქმებს საბოლოოდ განიხილავენ. მეთორმეტე მუხლი იაპონელებს პრიმორის ნაპირებზე თევზის ჭერის უფლებას ანიჭებს. გუშინ სატოს უთქვამს: „ჩემის აზრით, ზავი ჩამოვარდებაო.

ტოკიო, 6 აგვისტო. ბანკირებმა კლიენტებთან ნორმალური ურთიერთობა აღადგინეს. მალე პარლამენტის საგანგებო სესსიას მოიწვევენ.

პორტსმუტი, 6 აგვისტო. კონფერენციის უკანასკნელ სხდომების შესახებ შემდეგ ცნობებს იუწყებიან. იაპონიის მოთხოვნაზე იმის შესახებ, რომ მას სამხედრო ჯილდოს დაკლება შეუძლიან, ვიტტემ უპასუხა: რუსეთი მზად არის ტყვების შესანახი ხარჯი გადაიხადოს, მაგრამ კონტრიბუციის სახით კი კაპეიკსაც არ გადაიხდისო. ვიტტემ აღიარა, რუსეთს სრულიადაც არა სურს შორეულ-აღმოსავლეთში საზღვაო ძალა იქონიოსო.

ტოკიო, 6 აგვისტო. საზოგადოება ნელ-ნელა ურიგდება იმ აზრს, რომ ზავი ვერ შეიკვრება, ერთგულად ემხრობა მთავრობას და სახალინის დათმობასა და სახელმწიფო ჯილდოს გადახდასა თხოულობს. პრესსა და საზოგადოება ერთხმად თხოულობს, ვლადივოსტოკის ალყა და მანჯურიის კომპანია ენერგიულად წაიყვანეთო. მალე მანჯურიაში სამხედრო მოქმედების დაწყება შესაძლებელი გახდება. ტოკიოში ჩვეულებრივად სიმშვიდეა.

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. დღეს ბარონი როზენი პორტსმუტიდან პრეზიდენტის სანახავად ოსტერბეიში წავიდა.

პეკინი, 6 აგვისტო. წვიმების გამო, სამხედრო მოქმედება შესწყდა და ფაქტიურად დროებით ზავი ჩამოვარდება.

7 აგვისტო.

ნიუ-იორკი. ბარონი როზენი ოისტერბაის მივიდა. გაზეთები სწერენ: ვიტტე და კომურა დარწმუნდნენ, რომ მათი შეთანხმების ნაყოფი ჯერ კიდევ უზრუნველ არ ჰყოფს ზავის ჩამოგდებას. ორივე მხრის რწმუნებულნი ეჭვის თვალით უყურებენ იმ საქმეს, ვითომ რუზველტს შეეძლოს უთანხმოების მოსპობა. როგორც სჩანს არც იმპერატორსა და არც მიკადოს რწმუნებულთათვის არ მიუციათ უფლება, რომ კიდევ დაუთმონ რაიმე ერთმანეთს. ვიტტემ განაცხადა: საბოლოოდაა გადაწყვეტილი, რომ საომარ ხარჯის ასანაზღაურებლად ერთს კაპეიკს არ გადავიხდითო. ხმები დადის, რომ ინგლისი, გერმანია და საფრანგეთი პრეზიდენტ რუზველტს მხარს აძლევენ და სცდილობენ რწმუნებულთა მოლაპარაკება ზავის ჩამოგდებისკენ გადახარონო.

რომი. ჟურნალ „იტალია მილიტარ“-ს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: მიკადომ ოიამას მისწერა, ლინევიჩთან დროებით ომის შეჩერებაზე მოილაპარაკეო.

ხარბინი. გუნჯულინიდან მოსულ ცნობებით ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. წვიმები ისევ დაიწყო.

პორტსმუტი. ვიტტე მოგნოლიიდან დაბრუნდა.

ტოკიო. დილას, კაცურის თავმჯდომარეობით მინისტრთა კაბინეტს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა. ამბობენ, რომ თათბირი პორტსმუტის მოლაპარაკებას შეეხებოდაო. თითქმის ყველა იმ აზრისაა, რომ მოლაპარაკება შესწყდებაო.

პარიზი. საერთაშორისო სამშვიდობო ლიგამ პრესას მიჰმართა. იგი მოუწოდებს მას: მოითხოვეთ, რომ ის საკითხები, რომლებიც პორტსმუტის კონფერენციამ ვერ გადასწყვიტა, გააგის კონფერენციას გადაეცესო.

პორტსმუტი. ვიტტესა და როზენის წასვლის შემდეგ, რუსეთის რამდენიმე რწმუნებულმა სთქვა, რომ თათბირის სამის დღის შეწყვეტით შეიძლება რუზველტმა ისარგებლოს და ზოგიერთი პირობები შესცვალოსო. იაპონიის წრეები გვარწმუნებენ, რომ ნეიტრალურ ქვეყნის მეცადინეობა კონფლიკტს ვერ გამოაკეთებსო. იაპონიის მისიის გავლენიანი წევრი ამბობს, რომ ტოკიოს მთავრობას გადაწყვეტილებას ვერავითარი გარეშე ძალა ვერ შეაცვლევინებსო. სატომ განაცხადა, რომ რუზველტთან მოლაპარაკება საშაბათამდე მხოლოდ კანეკოს შუამდგომლობით შეიძლებაო. ორივე მისსია შუაღამემდე მთავრობასთან გასაგზავნ დეპეშებს სწერდა.

პორტსმუტი. „ლოკალ ანცეიგერ“-ის სიტყვით, რუზველტი სანამ როზენს მიიხმობდა, კანეკოს დიდხანს ეთათბირა. კანეკო მოულოდნელად ჩამოვიდა აქ და რუზველტს მიკადოს წერილი გადასცა. უეჭველია, რუზველტმა იცის, თუ რის დათმობა შეუძლიან იაპონიას. როგორც ხმები დადის, იაპონია აღარ მოსთხოვს რუსეთს, რომ შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო საზღვაო ძალა შეამციროსო.

ვლადივოსტოკი. ჩინელები სიმაგრეს თავს ანებებენ და საჩქაროდ მიდიან. ტელეგრაფის მოხელე ჩინელებმა სამსახურს თავი დაანებეს,— მცირე ჯამაგირები გვაქვსო.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 6 აგვისტოს თარიღით: „ხუნხუზების წინააღმდეგ გაგზავნილ რაზმებს ორი შეტაკება ჰქონიათ. უკანასკნელ შეტაკების დროს, ხაილუნჩენის მიდამოებში, 3 აგვისტოს, იმბატოს ბრბო გაჰფანტეს. მოკლულთა შორის თვითონ იმბატო და ორი იაპონელი აღმოჩნდა. ბრძოლის ველიდან სხვა ცნობები არ მოსულა.

გოძიადანი. ხუნხუზები, რომლებიც ამას წინად ხარბინს მოუახლოვდნენ, ციციკარის მიდამოებისკენ წავიდნენ. გაოლიანი იმ სიმაღლე გაიზარდა, რომ ცხენოსანსა ჰფარავს. ეს ხელს უწყობს ხუნხუზთა თარეშობას, რომლებიც დილისით გაოლიანსა და ღრანტეებში იმალებიან, ღამღამობით კი თავს ესხმიან ჩვენს პატარა რაზმებს, ბარგსა და მდიდარ ჩინელთა ფანზებს.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4-ხე გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან

ჩინეთისა და იაპონიის კავშირი. ევროპელი და ამერიკელი დიპლომატები აცხადებენ: დანამდვილებით გავიგეთ, რომ იაპონიამ და ჩინეთმა საკავშირო ხელშეკრულობა დასდეს. ოფიციალურად ამ კავშირს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ გამოაცხადებენ. ჩინეთი აუარებელ კონცესიებს აძლევს იაპონიას. სამაგიეროდ იაპონია ჩინეთს კონსტიტუციის შემოღებაში დაეხმარება და რამდენსამე მილიონ სალდათს გაუწვრთნის. მიზანი ამ კავშირისა ის არის, რომ იაპონიამ და ჩინეთმა, ადრე იქმნება თუ გვიან, მთელი აზია უნდა გაანთავისუფლონ პოლიტიკურად და ეკონომიურად ევროპისაგან, განაახლონ ძველი კულტურა და ამ მხრით ევროპის ადგილი დაიჭირონ მთელ ქვეყანაზე. დიპლომატების აზრით, ოციოდე წლის შემდეგ იაპონიასა და ჩინეთს ისეთი მძლავრი და უძლეველი მხედრობა და ფლოტი ეყოლებათ, რომ მთელი ევროპა ვერ გაუმკლავდება „ყვითელ კანიან მაიმუნებს“, იმ მაიმუნებს, რომელთაც ვაფანგოუსა, ლიაოდუნსა, ტიურენჩენსა, შახესა, მუკდენსა, პორტ-არტურსა და ცუსიმასთან გენიოს ოიამასი, კუროკისა, ოკუსი, ნოძუსი, ნოგისა, კამიმურასი და ტოგოს დახმარებით „მაიმუნთა“ დროშა აფრიალეს და ცხადად დაამტკიცეს, რომ ცივილიზაცია, კულტურა, მეცნიერება და განათლება მომავალში ევროპიდან აზიაში გადავა და ამომავალ მზის ქვეყანაში დამკვიდრდება (რ. ს.).

ორნაირი პირობა. კომურას ორნაირი საზავო პირობა აქვს შედგენილი. პირველ პირობის ძალით რუსეთმა მხოლოდ სახალინი უნდა დაუთმოს იაპონიას, $1^1/_2$ მილიარდი მანათი გადაუხადოს, პორტ-არტური, ლიაოდუნის ნახევარკუნძული და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა იაპონიას გადასცეს და კორეაში პირველობა იაპონიას დაუთმოს. თუ ეს პირობები რუსეთმა სიტყვის შეუბრუნებლად მიიღო, ხომ კარგი და, თუ არ მიიღო, კომურა მეორე პირობებს წარადგენს; ამ პირობებს რუსეთი მხოლოდ მაშინ მიიღებს, როცა გენ. ხასეგავა ვლადივოსტოკს აიღებს და მარშალი ოიამაც გენ. ლინევიჩის ჯარს სულ მთლად გაანადგურებს. ამ პირობების ძალით, რუსეთი იმდენ მიწა-ადგილს დაუთმობს იაპონიას, რომ მან თავის იმპერია-აზიაშიც გადმოიტანოს და სამუდამოდ დამკვიდრდეს ციმბირის ნაპირებზე. რუსეთი ხელს აიღებს ვლადივოსტოკზე, კამჩატკაზე და დიდ ოკეანეს ნაპირებზე. ამის გამო რუსეთი იძულებულია ან პირველი პირობები მიიღოს, ან ომი განაგრძოს და, თუ ისევ დამარცხდა, ერთი-ორად და ერთი-სამად წააგოს (კ.).

ციმბირის რკინის გზა გაფაციცებით მუშაობს და ბრძოლის ველზე ახალ-ახალ ჯარსა და საომარ მასალას ეზიდება. აგვისტოში გენ. ლინევიჩს 44 ათასი კაცი და შესაფერი მასალა მიემატება. იაპონელებმა ეს კარგად იციან და სულაც არ უკვირთ. იმათ მშვენივრად ესმით, რომ ზავი აუცილებელი არ არის და ამიტომ სისულელე იქნებოდა, რომ ამ დროთი არ ისარგებლონ და ყოველმხრით არ მოემზადნენ იმ მომავალ ბრძოლისათვის, რომელიც, უეჭველია, რუსეთ-იაპონიის ომის ბედს გადასწყვეტს (რ. ს.).

მანჯურიაში. გენ. ლინევიჩს უთქვამს, სანამ ავდრები არ გათავდება და გზები არ გაშრება, ბრძოლას არ დავიწყებო. ლინევიჩმა ზურგი მშვენივრად გაიმაგრა და თანდათან უკან დაწევას და იაპონელთა მოქანცვას აპირობს. ლინევიჩს რუსეთის მთავრობისთვის შეუტყობინებია, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ტაქტიკის შემოხებით გავიმარჯვებო (კ.).

თითების დაჭრა. გენ. ლინევიჩმა შემდეგი ბრძანება გასცა: უკანასკნელ დროს აღმოჩნდა, რომ აუარებელი სალდათი განგებ იჭრის სალოკ თითს და ამით სამსახურს თავს არიდებს. დღეის შემდეგ ვინც თითს მოიჭრის, ისევ ჯარში დარჩება და წინა პოზიციებზე გაიგზავნებაო (რ. ს.).

წვრილი ამბები. როცა კომურა და ვიტტე შეხვდნენ ერთმანეთს, ვიტტემ სთქვა: ბარონ კომურა! დიდად ნასიამოვნები ვარ, რომ ხელმეორედ მიხდება თქვენი გაცნობაო (ვიტტე და კომურა წინად პირადად იცნობდნენ ერთმანეთს). კომურამ ხმა არ გასცა. ვიტტეს ეწყინა კომურას დუმილი და მოშორდა. იაპონელები ამბობენ, კომურამ იმიტომ არ გასცა პასუხი, რომ ფრანგული არ იცოდაო (კ.).

ამერიკის განთქმულ მილიონერს მორგანს რუზველტისთვის უთქვამს, იაპონიასთან გვიშუამდგომლეთ, რომ სახალინი იჯარით მოგვცენო (კ.).

ამერიკული გაზეთი „გლობი“ სწერს: ამერიკისა და რუსეთის კავშირი შეუძლებელია, რადგან თავისუფალ ამერიკელს მონა-რუსთან საერთო არაფერი აქვსო. ჯერ რუსეთი ჩვენსავით თავისუფალი უნდა გახდეს და მერე ილაპარაკოს კავშირზეო,—ათავებს ზემოხსენებული გაზეთი (კ.).

ზავის შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებს 5 რუსი და 5 იაპონელი: კომურა, ტაკახირა, სატო, ოჩიაი და დეიჩი; ვიტტე, როზენი პლანსონი, ნაბოკოვი და კოროსტოვცევი (კ.).

„მშვიდობიანობის მეგობართა“ კომიტეტმა საფრანგეთში პეტიცია შეადგინა. 500 ათას კაცს მოაწერინა ხელი და კომურასა და ვიტტეს გაუგზავნა. კომიტეტი სთხოვს, ეცადეთ უეჭველად მშვიდობიანობა აღადგინოთ შორეულ აღმოსავლეთშიო (რ. ს.).

28 ივლისს სახალინზე, კორსაკოვის მახლობლად, იაპონელებს დანებდა 123 რუსი. სულ იაპონელებმა სახალინზე დაატყვევეს 5000-მდე რუსი (რ. ს.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 6 აგვისტო. რადგან გემების რიცხვი შემცირდა, როგორც „რუს“-ს გაუგია, საზღვაო სამინისტროს გადაუწყვეტია, 1-ლ რანგის კაპიტნების რიცხვიც შეამციროს. სამსახურიდან დაითხოვენ უფრო მოხუცთ.

ფინანსთა სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად განიხილავს პროექტს ქალაქებში სახელოსნო მრეწველობის გასაუმჯობესებლად საზოგადოებათა დაარსების შესახებ.

ფინანსთა სამინისტროში აზრათა აქვთ შეადგინონ საგანგებო კომისია ფინანსთა, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენლებისა, მოწვეულ მცოდნე პირებისა და ზოგიერთ ბანკების წარმომადგენლებისაგან, ბანკის დებულებათა ახალ პროექტის განსახილველად.

„რუს“-ი უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომ საპყრობილეები შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში გადადიოდეს. ამ მოკლე ხანში დაინიშნება ყველა საპყრობილეთა რევიზია.

პირველ-დაწყებითი სკოლები, პროექტით, ყველა ერთი ტიპისა იქმნება. საეკლესიო-სამრევლო სკოლები სამინისტრო სკოლების ფორმას მიიღებენ.

ამბობენ, გლაზოვი მინისტრობას თავს ანებებსო. ამ ადგილზე ასახელებენ კონის.

ჰფიქრობენ, დააარსონ მუდმივი სამხედრო გენერალ-გუბერნატორობა, რომელსაც ოლქის ჯარების უფროსობა ჩაბარდება. ახალ გენერალ-გუბერნატორად ასახელებენ ყოფილ მინისტრს —სახაროვს.

რომ ხალხმა კარგად გაიცნოს სახელმწიფო საბჭოს უფლებები, ამბობენ, საზოგადო დაწესებულებებსა და სკოლებში გამართავენ უფასო ლექციებს. მთავრობის განკარგულებით დაიბეჭდება 30 მილიონზე მეტი სპეციალური ბროშიურა სახელმწიფო საბჭოს შესახებ და გლეხებს უფასოდ დაურიგდებათ.

„სლოვო“ გადმოგვცემს, რუსეთში სახელმწიფო საბჭოს შემოღების გამო, ამნისტია იქმნება გამოცხადებულიო. 6 აგვისტო, როგორც ისტორიულ დღეს, პეტერბურგის ქალაქის საბჭოს აზრადა აქვს იდღესასწაულოს ხოლმე.

საერო განათლების სამინისტროში რუსეთის ქალთა საზოგადოებამ პეტიცია შეიტანა და თხოულობს, გაუქმებულ იქმნას ის კანონები, რომლითაც ქალებს ნება არა აქვთ მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებებში იმსახურონ და მონაწილეობა მიიღონ, მამაკაცებთან ერთად, საერობო და ქალაქის თვითმართველობაში.

ახალი ამბავი

ქუთაისიდან გვატყობინებენ: კვირას, 7 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ბულვარზე მოჰკლეს **კაბარდინსკის პოლკის პოდპოლკოვნიკი ხოდეცკი**. ვიღაც უცნობი, ლურჯ-ხალათში, მისულა ბულვარზე მოსეირნე ხოდეცკისთან და რევოლვერი უსროლია. დაჭრილს ხოდეცკის უძვრია ხმალი და მკვლელს გამოჰკიდებია, მაშინ მკვლელი მობრუნებულა და მეორედ რევოლვერი პირდაპირ გულში უსროლია. ხოდეცკი წაქცეულა და რამდენისამე წუთის შემდეგ მომკვდარა. მკვლელი მიმალულა. როგორც ამბობენ, ხოდეცკის, ამ უკანასკნელ დროს, ბევრი მუქარის წერილი მისდიოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდაო.

◆ კანდიტერ ალიხანოვის მკვლელებმა, თევზაძემ და ნიკოლაიშვილმა, რომელთაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, **განაჩენის განსაჩივრებაზე უარი განაცხადეს**.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შეატყობინა საქალაქო და პირველ დაწყებითი სკოლების უფროსთ, რომ 1881 წლის დებულება **ადგილობრივ ენების სწავლის შესახებ ისევ ძალაში რჩება** და მტკიცედ უნდა იყოს ასრულებულიო.

◆ ტფილისში ჩამოვიდა სახელმწიფო საბჭოს **სტატს-სეკრეტარი ვ. ა. ვერეშჩაგინი**.

◆ კავკასიის ნამესტნიკის სამხედრო ნაწილის თანაშემწე გენერალი **მალამა** ნამესტნიკისაგან **გაწვეულ იქმნა კისლოვოდსკში**, სადაც იგი უკვე გაემგზავრა.

◆ იმერეთის სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭომ აცნობა სამრევლო სკოლების მთავარ გამგეობას: მომავალ წლიდან სამოსწავლო ოლქის უფროსის-მიერ გამოცემულ ინსტრუქციით, ქუთაისის ოლქის ყველა სამინისტრო სკოლებში მომავალ წლიდან ახალი პროგრამით უნდა სწარმოებდეს სწავლებაო, და გთხოვთ გვაცნობოთ — ჩვენდამი რწმუნებულ **სამრევლო სკოლებში რა პროგრამა დავტოვოთო**.

◆ ოთხშაბათს, 4 ივლისს, ქართლ-კახეთის სასინოდო **კანტორამ** ექსარხოსის ნიკოლოზის თავმჯდომარეობით **მოისმინა ქართლ კახეთის ბლაღოჩინების სამსახურიდან გადადგომის საქმე** და იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მოხსენება იმის შესახებ, რომ ამ კანტორის წევრად იმერეთის ეპარქიიდან დაინიშნოს ნოვოჩერქასკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია). პირველ საკითხის შესახებ კანტორამ დაადგინა: ვიდრე საზოგადო ცხოვრება დაწყნარდებოდეს, ყველა საქმე პირდაპირ მღვდლებს დაევალოსო. კანტორამ მეორე მოხსენება მოიწონა და, თუ არხიმ. ამბროსის სხვა თანამდებობაც მოუნახეს, კანტორის წევრად ჩარიცხავენ.

◆ **ქართული დრამატიული წლიური დასი**, როგორც გავიგეთ, **უკვე შესდგა**. წლიურად მოწვეულ იქმნენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე, ტ. აბაშიძე და სხვა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. შათირიშვილი, ს. სვიმონიძე, ვ. გამყრელიძე, ვ. შალიკაშვილი და სხვა. წარმოდგენები დაიწყობა ენკენისთვის შუა რიცხვებში. გაიმართება სახაზინო თეატრში კვირაში ერთხელ და ერთხელაც ავლაბარის თეატრში. ამას გარდა 1 იანვრიდან, როდესაც დამთავრდება ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი, დრამატიული დასი იქაც გამართავს წარმოდგენებს.

◆ ქუთაისის ყოფილმა დრ. გენერალ-გუბერნატორმა კავკასიის ნამესტნიკს წარუდგინა მამედბეკ სანჯაკ-ბეკ ზადე-აბაშიძის შუამდგომლობა, რომ მიეცეს მას ნება **გამოსცეს ქ. ბათომში გაზეთი თათრულ ენაზე, სახელად „ტულუ“**, სადაც სტატიები ქართულ ენაზედაც იქმნება გადმოთარგმნილი. გაზეთი კვირაში ორჯელ უნდა გამოვიდეს.

◆ ალავერდიდან გვატყობინებენ: შარშან ალავერდის სპილენძის ქარხნის მოსამსახურეებმა 350 მანათის მიტკალი იყიდეს, ბერძნების დედაკაცებს საცვალი შეაკერინეს და გამოუგზავნეს შორეულ აღმოსავლეთში მებრძოლთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარეს, გუბერნატორის მეუღლეს ქ-ნ სვეჩინისას. გამოსაგზავნი ფულიც მოსამსახურეებმა გადაიხადეს. რკინის გზის ადმინისტრაციამაც და ალავერდის ქარხნის მოსამ-

სახურეებმაც რამდენჯერმე მოაგონეს სვეჩინისას და სთხოვეს, საცვალი წაიღეთ სადგურიდან და დანიშნულებისამებრ გაგზავნეთო; მაგრამ საცვალი 6 თვის განმავლობაში სადგურზე ეგდო, არავინ მოითხოვა და ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ რკინის გზის **ადმინისტრაციამ საჯარო ვაჭრობით გაჰყიდა რის ვაი ვაგლახით მოგროვილი შეწირულება.**

◆ როგორც ამბობენ, თავ. ი. გ. ამილახვარმა კავკასიის ნამესტნიკისაგან **განკარგულება მიიღო, გააუქმოს გორის თავად-აზნაურთაგან შემდგარი „მილიცია“.** იმ შემთხვევაში, თუ „მილიციონერები“ ერთად იმოქმედებენ, იარაღს ჩამოართმევენ და პასუხისგებაში იქმნებიან მიცემულნიო.

◆ ქალაქის საბჭოს დადგენილებისამებრ, მომავალ სამოსწავლო წლიდან **ავლაბარში პროგიმნაზია არსდება.** ამ პროგიმნაზიის ინსპექტორად, როგორც გადმოგვცეს, ი. ს. ღულაძე დაუნიშნავთ

◆ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის **დირექტორად დაინიშნა** ინსპექტორი ვაჟთა მეორე გიმნაზიისა ივ. ევ. **გამყრელიძე,** ხოლო ინსპექტორად ამავე გიმნაზიის მასწავლებელი ა. დ. საფაროვი.

◆ კვირას, 7 აგვისტოს, საქართველოს ექსარხოსს თავის ბინაზე **თათბირი ჰქონდა** სასულიერო სემინარიის **რექტორთან და ინსპექთან** სემინარიის მოწაფეთა და ახალ შენობის შესახებ.

◆ **როგორც თელავიდან გვატყობინებენ:** 1 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, როდესაც წინანდლის საუფლისწულო მამულების უფროსი მედვინე ოვჩარენკო წინანდალში ბრუნდებოდა და თან 1270 მანათი ფული მოჰქონდა მოსამსახურეთა დასარიგებლად, თ. დ. მიხეილ ჭავჭავაძის მამულიდან ასტყდა თოფის სროლა. ერთი ტყვია ოვჩარენკოს ყურის ძირში მოხვდა, მეორე ზურგში და მესამე გულში. მეეტლე, ზაქარია დავითაშვილიც ორ ადგილას არის დაჭრილი: გვერდსა და ზურგში. მეეტლემ გამოძიებაზე აჩვენა, რომ ერთი მსროლელთაგანი იყო სანდრო ჩიტოლაშვილი, რომელიც ოვჩარენკომ მუშათა შორის პროპაგანდისთვის დაითხოვაო.

◆ გუშინ, 8 აგვისტოს, საქართველოს ექსარხოსთან იყვნენ **სომეხთა და თათართა სამღვდელოებათა დეპუტაციები.**

◆ თელავის სამაზრო პოლიციას შეუპყრია წინანდლის საბოქაულოში **მოთარეშე ქურდების მოთავე,** სოფ. საბუეს მცხოვრები შაქრო კიჟიევი, რომელიც გამასწორებელ რაზმიდან ყოფილა გამოქცეული.

◆ როგორც გაზეთი „ბაქო“ გადმოგვცემს, **ინგუშებს დაურბევიათ კაზაკთა სამი სტანიცა.** კავკავიდან გაგზავნეს არტილლერია, აპშერონის პოლკის ორი როტა და კაზაკთა სამი ასეული.

◆ ტფილისში მცხოვრები **მაჰმადიანები სთხოვენ შეიხულისლამს:** გვიშუამდგომლეთ ნამესტნიკთან კაზიების კრების მოწვევაზე; კრებაზე განხილულ უნდა იქმნას ერობის შემოღების ინსტრუქცია.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა საგუბერნიო სააღმშენებლო განყოფილებას სთხოვა ცნობები, რამდენად ესაჭიროება ფუნიკულერის გამგეობას ექსპროპრიაცია 50 დესეტინა მიწის ნაჭრისა მამა დავითის მთაზეო.

◆ რკინის გზის ექიმებს დაევალათ მალ-მალე დაათვალიერონ ხოლმე **სადგურების შენობები და სადგომები.**

◆ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწე ინჟენერი ივანოვი **შუშაში გაემგზავრა სარევიზიოდ.**

◆ სატეხნიკო ნაწილის მთავარმა გამგემ ა. პ. **დობროვსკიმ დაათვალიერა ახლად გაყვანილი ნავთის საყვანები** და გუშინ, 8 ავისტოს, პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ 20—28 ივნისამდე ტფილისში მომხდარ საერთო გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს ტფილისის საქონლის სადგურის მუშებმა და ყარაულებმაც. ამისთვის ყველანი, რიცხვით ორას კაცამდე, **ადგილიდან დაითხოვეს.** იმათ ადგილას გამოიწერეს ბათომიდან სომხები, რომლებმაც ორიოდე დღე იმუშავეს და იმათაც თავი გაანებეს. ერთხანს სალდათები ამუშავეს, ბოლოს კი მოიჯარადრე იძულებული გახდა მიემართნა ისევ ძველი მუშებისთვის, მაგრამ მიიღეს მხოლოდ ნახევარი, ნახევარი კი, უმეტესად გურულები, ისევ უადგილოდ დასტოვეს. ამჟამად დანარჩენი მუშებიც გაიფიცნენ და რკინის გზის გამგეობას წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი:

რვა საათის სამუშაო დღე. მიღებულ იქმნან ოციდან ოცდა-რვა ივნისამდე გაფიცვის გამო დათხოვნილი მუშები და ყარაულები. მუშათა მიღება და დათხოვნა უნდა იყოს მუშათა და დარაჯთა ხელში. მოემატოთ ჯამაგირი ოცდა თხუთმეტ მანათამდის თვეში. მიეცეთ სახლი, შუქი და ნავთი. მიეცეთ წლიურად ოთხი უფასო ბილეთი. მიეცეთ წლიურად ერთი თვით თავისუფალი დრო ჯამაგირის შენახვით. უფასო წამლობა. მოისპოს კვირაობით მუშაობა. გაფიცვის დროს კუთვნილი ჯამაგირი სრულად მიეცეთ.

◆ 5 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, ქ. გორის მოქალაქემ ივ. ბერეკაშვილმა ტფილისის მოქალაქე ასო ღარიბოვი სასიკვდილოდ დასჭრა. ღარიბოვმაც მსუბუქად დასჭრა ბერეკაშვილი. ღარიბოვი 1 საათის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ მე-7 საპოლიციო უბანში, სურფ-კარაპეტის ქუჩაზე, ტფილისის მოქალაქე ალალო ხარქისოვმა დანით დასჭრა კარაპეტ გევორქოვი. ეს რომ სარქისოვის მეგობარმა, გარეგინ პეტროსოვმა, დაინახა, თავის მხრივ კარაპეტ გეურქოვს დანა ისე მძლავრათ დაჰკრა, რომ გევორქოვი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ **დარკვეთი.** 7 აგვისტოს მატარებელ № 49 ქვეშ მოჰყვა ბეჟან იაკობიძე და გაისრისა.

◆ **ქუთაისი.** 7 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე კონდუქტორ პავლე სუპრუნს ვიღაც უცნობ პირებმა ორჯელ ესროლეს და მოჰკლეს.

◆ მდინარე ლაჩინჩაიზე გადებული ხიდი შეაკეთეს და წესიერი მიმოსვლა დაიწყო.

◆ იმერეთის ეპარქიაში გაუქურდავთ პატრიკის წმ. გიორგის ეკლესია.

რუსეთი

◆ წრეულ, 1905 წელს, მთელ რუსეთიდან **ჯარში გაიწვევენ 475,346 კაცს** (რ.).

◆ მას შემდეგ, რაც სინოდმა გრაფი ლ. **ტოლსტოი შეაჩვენა** და ეკლესიიდან განაძევა, 3000 კაცმა თხოვნით მიმართა სინოდს, ჩვენც ტოლსტოის მომხრენი ვართ, ღმერთი არა გვწამს და ეკლესიიდან გაგვაძევეთო. სინოდმა ამ თხოვნას ყურადღება არ მიაქცია (რ. ვ.).

◆ ვარშავა-ვენის რკინის გზას საკუთარი სასწავლებლები აქვს მოსამსახურეთა შვილებისთვის. ამას წინად ამ გზის გამგეობამ გზათა მინისტრს სთხოვა, ნება მოგვეცით ამ სასწავლებლებში **სწავლა პოლონურ ენაზე** შემოვიღოთო, მაგრამ მინისტრმა ცივი უარი შეუთვალა (რ. ვ.).

◆ პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში **სწავლა** 5 ენკენისთვეს დაიწყება (ნ. ჟ.).

◆ პეტერბურგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორებმა პეტერბურგში **მიიწვიეს ცნობილი მეცნიერი კოვალევსკი,** რომელსაც რამდენიმე ლექცია უნდა წაეკითხა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციების შესახებ. კოვალევსკიმ თანხმობა გამოუცხადა, მაგრამ სამაგიეროდ უარი უთხრა რუსეთის მთავრობამ და შეუთვალა, არც რუსეთში დაბრუნება შეგიძლიანთ და არც მაგ ტემაზე ლექციების კითხვაო (რ.).

◆ პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა სხვადასხვა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისთვის 1088 კაცი **დააჯარიმა** 5758 მანათით (რ. ს.)

◆ **პრესსის თავისუფლება.** „სარ. ზემ. ნედ.“-ის მე-4 ნომერში **„რედაქციისგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო** ზოგიერთი წერილი ვერ დაიბეჭდა (რ. ი.).

◆ პეტერბურგის სასამართლომ დაამტკიცა განაჩენი საოლქო სამხედრო სასამართლოსი, რომელმაც ბოქაულ კუიაროვის მკვლელს სიდორჩუკს **ჩამოხრჩობა** გადაუწყვიტა (მ. ვ.).

◆ სევასტოპოლში სამხედრო საზღვაო სასამართლომ განიხილა საქმე იმ მატროსებისა, რომელთაც სამხედრო გემ **„პრუტ“-ზე** აჯანყება მოახდინეს, და დაადგინა: **4 კაცი უნდა დაიხვრიტოს,** 3 უვადოდ კატორგაში გაიგზავნოს, 13 კაცი კატორგაში გაიგზავნოს 4-დან 18 წლამდის; 8-ს სხვადასხვა სასჯელი მიუსაჯა (ნ. ჟ.).

◆ ოდესის სამხედრო სასამართლომ პოლიტიკურ დამნაშავეთ—გალპერინსა და სხვებს—ოცი წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტა. სასამართლოს პროკურორი ზალივსკი ამ სასჯელით არ დაკმაყოფილდა, საქმე მთავარ სამხედრო სასამართლოში გადაიტანა და ბრალდებულთა **ჩამოხრჩობა მოითხოვა** (რ. ს.).

◆ სენატორი პოსტოვსკი მოსკოვში რევიზიის გათავების შემდეგ პოლონეთში წავა და იქ **რევიზიას მოახდენს** (რ.).

კორესპონდენცია

კახეთი, 2 აგვისტო. თუმცა ყანების მომკის დროს გლეხთა მოძრაობამ ბევრგან იჩინა თავი, მაგრამ ეგზეკუცია ჯერ-ჯერობით მხოლოდ სოფ. ახატელში ჩაიყვანეს.

ამ სოფლის მიწა რომელიც სივრცით 230 დესეტინაზე მეტი იქმნება, დიდი ხანია, გლეხთა და მემამულეთა შორის სადავო გამხდარა. გლეხები ამბობენ, წინედ ეს მიწა ჩვენ გვეჭირა, მაგრამ ამ ბოლო წლებში თავადიშვილებმა დაიჩემეს და ძალას გვართმევენ, თუმცა სახელმწიფო ხარჯს ახლაც ჩვენ ვიხდითო. წელს გლეხებმა მემამულეებს ძალა აღარ მისცეს, თვით სოფელმა აიღო სასოფლოდ და მშვენიერი ფორთაქცეულები დასდგეს.

გლეხებმა იფიქრეს, სამართალი ჩვენკენაა, მიწა ჩვენია და არც ძალას მივცემთო. მართლაც, ყანები მოიმკეს და მემამულეთ ვერაფერი მიიღეს. მემამულეებმა პოლიციას მიჰმართეს.

30 ივლისს, დილით, ჯერ პოლიციის მოხელე მაჭავარიანი ჩამოვიდა სტრაჟნიკებით და რამდენიმე კაზაკით, საღამოხანზე კი მოვიდა თვით მაზრის უფროსი ზოსერმანი და თან 50—60 კაზაკი ჩამოიყვანა. ახლა კი ყველასათვის გამოირკვა, რომ გლეხების თხოვნა არავის შეუწყნარებია და ეგზეკუცია გამოუგზავნიათ.

უბედურება ის არის, რომ ახატელი ქონებრივად უამისოდაც დაქვეითებულია და ეგზეკუცია მისთვის სწორედ ღვთისრისხვაა.

ახატელში ცხოვრებენ მემამულენი თავ. მგალობლიშვილები და აზნ. სვიმონიშვილები. გლეხკაცობა 55 კომლია და ასეთ პაწია სოფელს ამოდენა კაზაკები ჩაუყენეს. თითქმის თითო კომლს თითო კაცი და ცხენი გაუხადეს შესანახად, რაც საქმეს უფრო გაამწვავებს...

ინკოგრიტო,

—

ს. რუფოთი (შორაპნის მაზრა), 2 აგვისტო. 22 ივლისს ამ სოფელში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: ერთს გლეხს, ა. გვენცაძეს, სურდა მოეტაცნა მარკოზა ცქიფურიშვილის ქალი. ამ მიზნის შესასრულებლად, მას შეუკრებია რვა ამხანაგი. 22 ივლისს შეკრებილან ყველანი და ნავახშმევს მისულან ქალის მამასთან; როდესაც ეზოში გადასულან, შეუნიშნავთ ბეღლის წინ მწოლარე კაცი, დაუხლიათ თოფები და მძინარე იქვე მოუკლავთ. ყველანი გადმოცვივნულან და მიზანი ვერ შეუსრულებიათ, რადგანაც ქალი შინ არ ყოფილა. მეორე დღეს მთელმა სოფელმა ეჭვი მიიტანა ა. გვენცაძეზე, რადგანაც მას წინადაც გაუგზავნია ცქიფურიშვილისათვის შესაშინებლად წერილები. 24 ივლისს მთელი სოფლის საზოგადოება შეიკრიბა რუფოთის ეკლესიის გალავანში, გვენცაძის გასასამართლებლად. შეკრებილთა რიცხვი სამიათას კაცამდე იქნებოდა; წესიერების დასაცველად ამორჩეულ იქმნა თავმჯდომარე და სამიც პასუხის ჩამოსართმევად. მოვიდა გვენცაძე და მთელის საზოგადოების წინ განაცხადა: „მე შევცდი და მივედი ცქიფურიშვილისას ქალის მოსატაცებლად; თან ჩემის თხოვნით წავიყვანე რვა ამხანაგი (რომლის გვარები ჩამოთვალა); ეზოში თოფები შესაშინებლად გავისროლეთ და ჩემი თოფი მოხვდა ბეღლის წინ მწოლარე ცქიფურიშვილსაო“.

დაიბარეს გვენცაძისაგან დასახელებული კაცებიც. სუყველა გამოტყდა. საზოგადოებამ დაატუსაღა ისინი და მეორე დღისთვის თითო სოფლიდან ათ-ათი მსაჯული ამოირჩია. რადგანაც მთელი საზოგადოება შესდგებოდა შვიდი სოფლისაგან, სულ სამოც-და-ათი მსაჯული იქმნა ამორჩეული. მათ დამნაშავენი დაჰყვეს ოთხ ჯგუფად: პირველში მოათავსეს თვითონ მკვლელი—გვენცაძე, მეორეში—სამი ამხანაგი, რომლებიც გაჰყოლიან მას ეზოში და მასთან ერთად თოფები დაუხლიათ, მესამეშიაც—სამი, რომლებიც ეზოს გარედ დამდგარან, და მეოთხეში—ორი, რომელთაც არც თოფები ჰქონიათ და, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ძალადაც წაუყვანიათ.

მსაჯულებმა შემდეგი მსჯავრი დასდეს: პირველს, გვენცაძეს, მიუსაჯეს სამუდამოდ გადასახლება; მეორე ჯგუფის სამ ამხანაგს—რვა წლით გადასახლება და მერმე საზოგადოებას უნდა ეთხოვოს მათი დაბრუნება; მესამეს—სამი წლის გადასახლება და შემდეგ ისევ სოფელმა უნდა მიიღოს და მეოთხე ჯგუფს დაადვეს შინაური სასჯელი.

მეორე დღეს ეს განაჩენი მსაჯულებმა საზოგადოებას გამოუცხადეს, ხელი მოაწერინეს და დამნაშავეებითურთ მთავრობას გადასცეს, სისრულეში მოსაყვანად.

ასე, სამ-ოთხ დღეში დასრულდა იმისთანა საქმის გარჩევა, როგორიც არის კაცის კვლა. ბიუროკრატიული სასამართლო ამ გვარ საქმის გარჩევას მთელ წლებს ანდომებს ხოლმე.

დამსწრე.

ღამის დეპეშები

8 აგვისტო.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

ნიუ იორკი, 7 აგვისტო. ვიტტემ და როზენმა სამი საათი ითათბირეს, შემდეგ პეტერბურგში გაგზავნეს დეპეშა, რომელშიაც მოყვანილია როზენის მიერ მიღებული რუზველტის წინადადება.

პორტ-სმუტი, 7 აგვისტო. ამერიკის პრესსის აზრით, რუზველტმა შეატყო, რომ კონფერენცია მარცხით გათავდება და განხეთქილების თავიდან ასაცილებლად, სხვა მხრიდან ჰფიქრობს საქმეში ჩარევასაო.

გოძიადანი, 7 აგვისტო. ამ ბოლოს დროს ტოკიოდან მოსული დეპეშა იუწყება: რუსეთის ჯარს სურსათი აკლია, ჯარის კაცნი გამორბიან და ძალად ტყვედ გვივარდებიანო. ეს მტკნარი სიცრუე და გამოგონილია საზოგადოების თვალის ასახვევად. სალდათები მაძღარნი არიან, საკმაო საჭმელი აქვთ ჩაი და შაქარიც მეტი ეძლევათ, წინააღმდეგ იაპონელთა ცნობებიც უნდა ვსთქვათ, რომ სათადარიგო ჯარის კაცებიც კი მოწინავე ფრთეზე გარბოდნენ, რომ იაპონელი ენახათ, შებრძოლებოდნენ იაპონელს, თუ როგორც უვარდებიან რუსის სალდათები ტყვედ იაპონელებს შემდეგი მაგალითი ამტკიცებს: მოხალისეებმა გაოლიანში მოასწრეს რვა იაპონელს, ამ რვა კაციდან მარტო ერთი გაუმკლავდათ, დანარჩენი შვიდი იაპონელი კი მუხლის თავებზე დაეცა, გადაყარა იარაღი, შეჰღაღადა ჩვენ სალდათებს ,,გამარჯობათო‘‘ და თავის ნებით ხელები შეაკვრევინეს ჩვენი ჯარი ისევ ის არის, რაც იყო ოსმხლეთის ომისა, სევასტოპოლისა და ნაპოლეონის დროს, თუ მარცხდება, იგი ეს სალდათების ბრალი არ არის, ის სალდათებიც რომელნიც ყოველთვის თავგანწირვითა და გმირულად იბრძოდნენ ომის დროს ვაჟკაცურად კვდებოდნენ.

აომორი, 5 აგვისტო. რუსის პირველი და მეორე არმია წინა დგანან, მესამე სათადარიგოა რკინის გზასთან 40,000 ცხენოსანი ჯარი სდგას.

ტოკიო, თუმცა დიდი წვიმებია, მაგრამ, იაპონელები მაინც კორეის ჩრდილოეთით მიიწევენ, რუსებმა სიმაგრეები მიატოვეს, ჩრდილოეთისკენ დაიხიეს და ტუმენს გავიდნენ, ამასთან ყველა ხიდები დაანგრიეს, როგორც ამბობენ, კორეის არმია ოიამას შეუერთდებაო.

მოჯი, 7 აგვისტო. ლინევიჩი სიმაგრეების აშენებას ამთავრებს. იმას ჰყავს 400—500 ათასამდე ჯარის კაცი. რუსეთიდან დიდძალი ჯარი მოდის, ამ ჯარების მომეტებულ ნაწილს ტუმენზე ჰგზავნიან.

პეკინი, 6 აგვისტო. კუროკის არმიიდან იტყობინებიან, სამხედრო ოპერაციები მხოლოდ სამი კვირის შემდეგ დაიწყობა, რადგანაც წვიმების გამო გაუვალი ტალახიაო, სანამ წვიმები დაიწყებოდა კუროკის არმია უკვე მზად იყო იერიშისთვის, ამჟამად იცდის, გზები როდის გაშრება, რომ მთელ ფრონტზე მედგარი იერიში მიიტანოსო, მუკდენსა, ტელინსა და სხვა ადგილებში დიდძალი რეზერვები სდგას ლაშქარი კარგ გუნებაზეა. რაც უნდა მოხდეს, ომის გაგრძელებისთვის ყოველთვის მზადა ვართ.

პორტსმუტი, 7 აგვ. როზენმა რუზველტთან საათზე მეტი დაჰყო და მხიარული გამოვიდა. ლაპარაკის შინაარსს ორივენი მალავენ. როზენმა მერე ვიტტე ინახულა. სატომ გუშინ სთქვა, ზავს თითქმის არაფერი დაუშლის, მხოლოდ ეგაა, ორივემ ერთმანეთს უნდა დავუთმოთ რამე.

პორტსმუტი, 7 აგვ. როზენის შეკითხვაზე, რამ გამოიწვია ის გარემოება, რომ რუზველტი ინახულეო, როზენმა უპასუხა პრეზიდენტმა მოისურვა სლავიანურ ლიტერატურის გაცნობაო. დარწმუნებით ამბობენ, რომ რუზველტმა განაცხადა! ეჭვი მაქვს, რომ რუსეთს შეეძლოს იაპონიის გასრესაო. პრეზიდენტმა უთხრა როზენს; იაპონია დაგითმობთ შორეულ აღმოსავლეთში საზღვაო ძალების შესახებ საკითხში, მაგრამ მტკიცედ იდგება კონტრიბუციის გადახდასა და სახალინის დათმობაზეო.

ჩიტა. ყველგან გაკრულია ზურგის ჯარის განცხადება შესახებ იმისა, რომ აკრძალულია კრებები; და ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, დაჯარიმებულ და დაპატიმრებულ იქმნება.

ბერლინი, 7 აგვისტო. გაზეთ „კელნიშე ცაიტუნგი“ სწერს ახალ სახელმწიფო საბჭოს შესახებ: თუმცა წარმომადგენელნი მეტის მეტად შეზღუდულნი არიან, მაგრამ იმედია, რომ წარმომადგენელნი უფლებებს გაიფართოვებენ და ხალხს თავისუფლებასა და კეთილდღეობას მიანიჭებენო. დანარჩენ გაზეთებს ვერ გაუგიათ, როგორ შეიძლება ისეთი წარმომადგენლობა, სადაც ბეჭდვითი სიტყვა თავისუფალი არ არის და კრებებიც აკრძალულიაო.

კისლოვოდსკი, 7 აგვ. გაფიცვა გათავდა. გაფიცულებმა ზოგიერთი მოთხოვნილება შეისრულეს.

კავკავი, 7 აგვ. მოვიდა ნამესტნიკის თანაშემწე მალამა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს სტანიცა კარაბულახში მომხდარ შეტაკების მიზეზი ინგუშებსა და კაზაკთა შორის.

სოხუმი, 7 აგვ. გუშინ შუადღისას ოთხი უცნობი შევარდა „რუპიტ“-ის კანტორაში და სროლა დაიწყეს. ექვსი კაცი კარებში იცდიდა. კანტორის გაცარცვა უნდოდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ერთი შეიპყრეს.

პეტერბურგი, 7 აგვ. გაზეთების სიტყვით სახელმწიფო საბჭო პირველად განიხილავს ახალ საქალაქო დებულებას; 2) საგლეხო რეფორმას; 3) ებრაელთა საკითხს; 4) საყოველთაო სწავლებას; 5) ახალ საერობო დებულების და უკანასკნელ დროის უმაღლეს უკაზების შესამუშავებლად დანიშნულ კომისიების მოხსენებას. პირველი კრება არაჩვეულებრივის სიდიადით იქმნება მოწყობილი. ამ კრებას დაესწრებიან ხელმწიფე, იმის საგვარეულოს წევრები, მინისტრები, სახელმწიფო რჩევის წევრები და უცხოელთა ელჩები. ორი კვირის წინად, სანამ კრება გაიხსნებოდეს, საბჭო განიხილავს წარმომადგენელთა რწმუნების საბუთებსა და ქაღალდებს.

ლონდონი. ინდოეთის ვიცე-კოროლმა ლორდ კორზონმა სამსახურს თავი გაანება.

პეტერბურგი, 7 აგვისტო. საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც შესდგება ბელგიაში მსოფლიო ეკონომიურ განვითარებას საკითხების განსახილველად, რუსეთის მთავრობა ფინანსთა მინისტრის ამხანაგს ტიმირიაზევს გზავნის.

პეტერბურგი მოსკოვიდან ატყობინებენ გაზეთ „რუს“-ს, რომ თანახმად სახელმწიფო საბჭოს დებულებისა, მოსკოვის ქალაქის გამგეობას დაევალა შეადგინოს სია იმ პირთა, რომელსაც საკმაო ცენზი აქვს სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამოსარჩევად. ამ საქმის შესრულება დაევალა სტატისტიკურ განყოფილებას, რომლის შტატსაც 50 კაცი კიდევ მიუმატეს. როგორც არსებულ ცნობებიდანა სჩანს, მოსკოვში 12 ათას კაცსა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება.

ლონდონი, 8 აგვისტო. ლორდი მინტო, კანადის ყოფილი გუბერნატორი, მეფემ ინდოეთის ვიცე-კოროლად დანიშნა.

მოსკოვი, 8 აგვისტო. „მოსკოვის უწყებათა“ დამაარსებელი, თავმჯდომარე ლიტერატორთა დამხმარებელ კასსისა, ლუგანი გარდაიცვალა. ლუგინი სწერდა ფსევდონიმით ,,წყნარი მეთვალყურე‘‘. (скромный наблюдатель) ღამის პირველ საათზე გადაიწვა ზოოლოგიურ ბაღის თეატრი. მასთან ერთად დაიწვა მთელი ქონება დირექციისა და არტისტებისა.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში,
აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოლდობრინი“ მ. ჰ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—5—10).

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ იგი ნიშნავს

ორ პრემიას

200 მან. და 100 მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1, საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორგინალური, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.

2. პიესა სამ მოქმედებიანზე ნაკლებ არ უნდა იყოს.

3. პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელობაზე, რაიმე დევიზის ზედ-წარწერით: პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნას დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღნიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა კონვერტს მხოლოდ მაშინ გახსნიან, როდესაც პიესა ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად.

4. პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა დანიშნულია არა უგვიანეს 1906 წ. პირველი იანვრისა

5. დრამატიულ საზოგადობის გამგეობას ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემით დაჯილდოვებულ პიესის სცენაზე წარმოდგენისა.

6. დაჯილდოვებულის პიესის ავტორს გონორარად მოეცემა თვითეულის წარმოდგენის მთელის შემოსავლის $5^0/_0$ პროცენტი.

7. შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქმნება გამოცხადებული.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. **ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2. საზოგადო სავაჭროსა, 3. ბანკისას, 4. კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია), 5. ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6. არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7. კომერციულ კორესპონდენციასა, 8. ვაჭრობის ისტორიასა, 9. ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.**

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირაუქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ უფასოდ ეძლევათ და გაეგზავნებათ.

(15—13)

ალ. გ. საათაშვილი.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 8 Августа 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5